საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

შაბათი, 6 ნოემბერი 1920 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ერთობა

ფასი 15 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 375 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 15 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 500 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 253 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 253

ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის

ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18. ტელ. 11—79

გულმოკლული მეუღლე მირიან ბესარიონის ძე უნგიაძე, შვილი ნოე, დედა ლიზა, დაი ნინა დვალიშვილი, მაზლები: რამაზ, ერმილო, პავლე, დომენტი და შალვა, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეგობართ მათვის დაუვიწყარი და საყვარელი

ლიუდმილა ნოეს ასული უნგიაძის

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას 7 ამა თვეს ნაშუადღევის 3 ს. წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან. (ბუფერის შესახვევი № 6.) პანაშვიდი ყოველ დღე. (3560—2—2)

პირველი ქართული კლუბის ხელზე მოსამსახურენი აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ მათი ამხანაგი მირიანის მეუღლე

ლიუდმილა ნოეს ასული უნგიაძისას

დაკრძალვა მოხდება კვირას 7 ნოემბერს ნაშუადღევის 3 საათზე წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან ნაძალადევი, ბუფერის შესახვევი № 6, პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. (3583 1—1)

სერგეი ჯამულეთის ძე ქარცივაძე, მარუსია ქარცივაძისა, ანატოლი, მარო, ევტიხი და ანანია სალუქვაძეები აუწყებენ საზოგადოებას მათთვის საყვარელ

ჯამულეთი ქარცივაძის

გარდაცვალებას ქ. ბათუმში. (3588 2—1)

დედა პარასკევა ალექსის ასული, მამა ისიდორ დარისპანის ძე, და ნინა და ძმა ზაქარია გელოვანი, ბებია სალომე, ბიცოლა მარიამი და ბიძა ვასილა კინწურაშვილი ამით აუწყებენ ნათესავთ, და ნაცნობებს, რომ კვირას 7 ნოემბერს გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად დაკარგულ პირველი შვილის

ალექსანდრე ხარიტონის ძე კინწურაშვილის

ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში 12 საათ. (3587—1—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

შაბათს, ნოემბრის 6-ს

ოტელო

შექსპირისა.

ახალი დეკორაციებით და კოსტიუმებით მხატვარის ალ. ზალცმანისა და ახალი მიზანსცენებით.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე. რეჟისორი აკაკი ფაღავა. (ნ. 3—3)

ქუთაისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს რომ თავისუფალია

ქიმიური ლაბორატორიის გამგის ადგილი

ვისაც ამ ადგილის დაჭერა სურს, ნოემბრის 10 რიცხვამდი ქალაქის გამგეობაში სათანადო განცხადება უნდა შემოიტანოს და თან წარმოადგინოს თავისი „curiculum aitae“. თვიური ჯამაგირი 9.000 მანეთი (სავალდებულო დამატებებით) და კერძო ანალიზების შემოსავლის 50 %. (ნ. 2—2)

რკინის გზის სასწავლო განყოფილება იწვევს

ხელ-მარჯილობის მასწავლებელს

თფილისის ქართულ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლისათვის 18 გაკვეთილზე, საჭიროა დამთავრებული ჰქონდეს ფრებელის კურსები. ელისაბედის ქუჩა 200. (3573—1—1)

მუშათა ცენტრალური აუდიტორია

(ყოფილი კლუბი) პლეხანოვის პრ. № 123.

წარმოდგენა № 4.

შაბათს 6 ნოემბერს 1920 წელს

მუშათა ცენტრალურ აუდიტორიასთან არსებული ქართულ წარმოდგენათა მართველი წრე განმეორებით

ბ უ რ უ ს ი

სიმ ქანთარიშვილი. პიესა 3 მოქ.

მონაწილეობენ: ქ-ნნი ბაქრაძე, ნ. მღვდლიშვილი მ. ბ-ნნი გარსიაშვილი გ. კანდელაკი ი. თალაკვაძე ვ. რატი კ. ხორავა ა. და სხ. რეჟისორი ლვამიჩავა მ. ადგილების ფასი: წევრთათვის 25—75 მან. არა წევრთათვის 50—140 მან. დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზედ. პიესის მსვლელობის დროს დარბაზში შესვლა აკრძალულია. მორიგი წარმოდგენა გ. შალიკაშვილის „უნიადაგონი“. ადმინისტრატორი ი. ელიაშვილი. (ნ. 1—1)

სახელმწ. თეატრი

6 ნოემბერს

ოპერა მუშებისათვის.

ევგენი ონეგინი

7 ნოემბერს **მინიონი.**

დასაწყისი 8 ს. ს. (ნ. 1—1)

ქალაქის გოგირდის-აბანოების

ადმინისტრაცია

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ორშაბათს, 8 ნოემბერს ა/წ. დილის 11 საათზე ქალაქის აბანოების კანტორაში საჯარო ვაჭრობით იჯარით გაიცემა ყოფილი ირაკლის აბანოს შეკეთების საქმე. პირობების ნახვა შეიძლება ქალაქის აბანოების კანტორაში (ყოფილი ორბელიანის აბანო, ზემო სართული) ყოველ დღე დილის 9—2 საათამდე. (3582 1—1)

მოქალაქეობრივი ვალი

თქმულია, „ერთი ჭირიც მარგებელიაო“. როდესაც კი საქართველოს წინაშე საფრთხის აჩრდილი ამართულა, ჩვენს დემოკრატიას, მთელს ჩვენს ხალხს მუდამ გამოუჩენია არა-ჩვეულებრივი მამულიშვილური აღტყინება. ამისთანა წამებში ყუჩდება უთანხმოება პარტიათა შორის, ცხოვრების წვრილმანი მხარეები, რომლებიც ჩვეულებრივ პირობებში დიდ-მნიშვნელოვანი გვეჩვენება, საერთო საფრთხის ჟამს აჩრდილდებიან და უკანა პლანზე რჩებიან. შიმშილ წყურვილი, უბინაობა, სიცივე, ეკონომიური კრიზისი—ყველაფერი ეს მეორეხარისხოვან შევიწროებათ გვეჩვენება შედარებით იმ საშიშროებასთან რომელიც დღეს შორიდან მოევლინა ჩვენს ქვეყანას. ყველა ნიშნებია იმის, რომ ოსმალეთის მხრიდან გამოჩენილი შავი ღრუბელი სწორეთ ასეთს გავლენას იქონიებს ჩვენს ხალხზე და მეტადრე ჩვენს დემოკრატიაზე. თავდაცვის, დემოკრატიული სახელმწიფოს გადარჩენის სურვილი ერთ უდრეკ სხეულად აქცევს მთელს ჩვენს ხალხს. ყოველი მისი ნაწილი თავისებურათ არის დაინტერესებული ოსმალთა შემოსევისაგან სამშობლოს დაცვაში. ყოველი კლასი მოიტანს თავისებურს მსხვერპლს სამშობლოს სამსხვერპლოზე. საჭიროა მხოლოდ წინასწარ ცნობაში მოყვანა იმის, თუ ვის რა მსხვერპლის მოტანა შეუძლია და ერის რომელ ნაწილისაგან რას გამოელის ჩვენი რესპუბლიკა.

შესაძლებელ ბრძოლის წესიერათ წაყვანისათვის ჩვენთის აუცილებლათ საჭიროა გავანელოთ ის შინაური კრიზისი, რომელიც გამოწვეულია, ერთის მხრით, ფულის ნიშნების კურსის დაცემით და, მეორეს მხრით სურსათ-სავაგის ნაკლებობით. არა-ერთხელ თქმულა, რომ ჩვენი ბონების კურსის დაცემას იწვევს მათი ბეჭვდის მეტის-მეტი ზრდა. უნდა გამოვნახოთ ისეთი საშუალება, რომ სახელმწიფოს აღარ დასჭირდეს ახალი ბონების ბეჭდვა და მასთან ერთად მას არ დააკლდეს საქონლის გაცვლა-გამოცვლისთვის ფულის ნიშნები, სახელმწიფოში, ხალხში, ბაზარზე უკვე ტრიალებს ბონების საკმაოზე მეტი რაოდენობა. საჭიროა ერთი რამ: ის, რომ სახელმწიფო ხაზინიდან ხალხში გასული ბონების ნაწილი ისევ უკან დაუბრუნდეს სახელმწიფოს. დღეს დღეობით ამის საშუალებას მოგვცემს ერთად-ერთი ზომა—**შინაური სესხი.** ამ ზომის განხორციელებაში დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიან ჩვენს ბურჟუაზიას და ბანკებს. რა თქმა უნდა, შინაური სესხის განაღდებაში მთელი ხალხი მიიღებს მონაწილეობას, მაგრამ ამ საქმეში ყველაზე წინ უნდა იდგეს ხალხის ის ნაწილი, რომლის ხელშიაც დაგროვილია ფული.

ბონების კურსის დაცემით აიხსნება ის გარემოება, რომ საქონლის გაცვლა გამოცვლა ჩვენს ქვეყანაში გაძნელებულია, სოფელი ქალაქს ვერ აწვდის მისთვის საჭირო სანოვაგეს და ქალაქი ვერ ამზადებს და სოფელს ვერ აწვდის მისთვის აუცილებელს ფართლეულს და სხვა საჭირო საგნებს. ქალაქი რომ სურსათ-სანოვაგის მხრით მოღონიერდეს, ჩვენს სახელმწიფოში თანდათა მოგვარდება წარმოება, ქალაქი გააძლიერებს მრეწველობას, იგი შესძლებს სოფლისათვის საჭირო საგნების დამზადებას და ამნაირად ურთიერთობა ქალაქსა და სოფელს შორის ნორმალურ კალაპოტში ჩადგება. ამისათვის აუცილებელია მხოლოდ, რომ ხალხმა გამოიღოს სურსათ-სანოვაგის ის ნაწილი, ვისაც რა მოეპოვება. წრევანდელი მოსავალი ჩვენში გვარიანი იყო იგი მთელი ხალხისთვის იკმარებს. საჭიროა მხოლოდ მისი წესიერი და გონიერი განაწილება, საჭიროა, რომ იგი დაიძრას იქიდან, სადაც ბევრია, იქითკენ, სადაც ნაკლებია: სოფლის ბეღლებიდან ქალაქის საწყობებისაკენ.

სხვა ზომებს შორის აუცილებლათ საჭირო იქნება **ნატურალური გადასახადის** გაწერა სოფლის მოსახლეობაზე, უმთავრესად პურის და სიმინდის. უდავო უპირატესობა მიგვაჩნია ის, რომ რევოლიუციის ცხოველმყოფელი სხივებით ჩვენში ყველაზე მომეტებულათ გლეხობამ ისარგებლა. მის ხელშია გადასული თითქმის მთელი საქართველოს მიწა. რევოლიუციის მარცხი პირველყოვლისა გლეხობის მარცხი იქნება. რევოლიუციის დაცვა გლეხის მხრით ეს არის დაცვა ახლად მიღებული მიწებისა. ეს მოსაზრება ავალებს გლეხობას სამშობლოს შესწიროს ნაწილი იმ მოსავლისა, რომელიც სამშობლოსაგან მიღებულ მიწებზე მოუვიდათ.

ჩვენი ერის ყოველი ნაწილი გამსჭვალულია სამშობლოს ხსნის საჭიროებით, საჭიროა, რომ ისინი გაიმსჭვალონ იმ აზრითაც, რომ ყოველმა მათგანმა უნდა გამოიღოს ის მსხვერპლი, რის გამოღებაც შეუძლიან. თუ ეს შეგნება იმდენათ ძლიერი იქნეს, რომ სიტყვა საქმეთ იქცეს, ჩვენს ჯარს ექნება საკმაო სურსათ-სანოვაგეც, ჩასაცმელ-დასახური ც. ზურგიც საკმაოთ ექნება გამაგრებული და სულიერი განწყობილებაც შესაფერი იმისათვის, რომ ადვილად და ძლევამოსილად მოიგერიოს შორიდან გამოჩენილი მტერი.

მოწინავე დემოკრატიამ ისე ფართო მასშტაბით უნდა მოაწყოს შესაძლებელი ომისათვის მზადება, რომ ომიანობისათვის ეროვნული ძალის მოკრებამ შინაური კრიზისისაგანაც იხსნას ჩვენი სამშობლო. თუ ხალხში სათანადო სულიერი განწყობილების შექმნა მოვახერხეთ, მალე დავინახავთ, რომ ეს მიზანი არც ისე ძნელი მისაღწევია.

სამხედრო სასამართლოს გარშემო

„საქართველოს“ ხელობათ აქვს დაიცვას ყოველი წარსულის ნაშთი და შეებრძოლოს ყოველ ახალს. ეს მისი კონსერვატიულ ბუნების თანდაყოლილი თვისებაა. ასე იქცევა იგი სასამართლოს საკითხშიაც; ანგარიშს არ უწევს არც შექმნილ მდგომარეობას, არც ქვეყნის სოციალ პოლიტიკურ პირობებს. მხოლოდ მიზიდება მას უკან, რამდენადაც კი ამის ძალა შესწევს. ჯარისა და სამხედრო სასამართლოების შესახებაც იგი ამ თავის ბუნებას არ ღალატობს.

ჯერ იყო და ებრძოდენ გვარდიას, ეს რა გამოსადეგი ძალაა—ყაზარმები არ გვეყოლიათო. ჯარსაც დაგვინგრევსო. ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ გვარდია არა თუ საომარ ერთეულათ ვარგა, არამედ თვით ჯარის შექმნასაც დიდათ ხელს უწყობს ჩვენს პირობებში. ახლა ეს ყველამ აღიარა, თუმცა ხანდისხან ვერ მოითმენენ და ამ დემოკრატიულ, რევოლიუციონურ ჯარის წინააღმდეგ კიდევ წამოისვრიან ხოლმე თავის უფერულ უარყოფით დებულებებს. ახლა ყველამ იცის, რომ გვარდიამ შეუწყო ხელი ჯარშიც იმავე დემოკრატიული, სულის გამკვიდრებას და ამ რიგათ შეიქმნა ორი ძმა, არა მოქიშპე, არამედ დამხმარე და მეგობარი, როგორც ორი ტყუპ ერთი დედის მკერდზე.

„საქართველომაც“ აიღო ხელი ძალა-უნებურათ თავის წუწუნზე. ახლა სამაგიეროთ იშოვა მეორე საბუთი საბრძოლველათ: ეს არის სამხედრო სასამართლოები, რომლებიც იმავე კასტიური სულით იყვნენ გაჟღენთილი, როგორც ძველი ჯარის ორგანიზაცია მეფის დროს,

ჯერ კიდევ კერენსკის მთავრობამ მიაქცია ამას ყურადღება და რევოლიუციის პირველ დღეებშივე ჩამოართვა სამხედრო სასამართლოებს ყოველი საქმე, რომელიც წმინდა სამხედრო დანაშაულობას არ შეიცავს. ასე სამხედრო სასამართლოს დარჩა მცირედი ჯგუფი საქმეებისა. მანვე შემოიღო ნაფიცი მსაჯულები ჯარის კაცების მონაწილეობით. ამით მოსპო მთელი ის მნიშვნელობა კასტიური სასამართლოსი, რომელიც მათ ჰქონდათ წინეთ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს იყო ომის დროს.

თვით იმ კერენსკის პროექტი ნახევარი ზომა იყო და როგორც ასეთმა შექმნა აუცილებელი კურიოზები: ჯარის კაცი, ოფიცერი და სხვა, თუ ის მარტო ან სხვა ჯარის კაცის დახმარებით სჩადის სამხედრო დანაშაულს, გასამართლდება სამხედრო სასამართლოს მიერ, თუ ამ დანაშაულის ჩადენაში თუნდ 10 სამხედრო პირთან ერთი სამოქალაქო პირი ურევია, საქმე გადადის ჩვეულებრივ სასამართლოში.

მაშასადამე ერთი და იგივე საქმე ერთ შემთხვევაში ერთსა აქვს, მეორე შემთხვევაში მეორეს.

სადღაა აქ ის „განსაკუთრებული სულიერი განწყობილების დაცვა და განსაკუთრებული ფსიხოლოგიის ცოდნის საჭიროება?

ნუ თუ ასეთი საჭიროება ქრება ან ნელდება ერთი სამოქალაქო პირის მონაწილეობით?

ცხადია არა.

და ჩვენ ვამბობთ: სამხედრო სასამართლოები წარმოადგენენ დღეს ჩვენში იმ ნაშთს, იმ ნაკუწს წინანდელი მთლიანი სასამართლოსას. და ეს ნაშთი არც იქით სწევია, არცაქეთ. იგი ძველებურათ კასტიურ სასამართლოობასაც აპირებს და თითქოს განახლებულ სახესაც იღებს.

მაგრამ ჩვენს სინამდვილეში, საქართველოში, კიდევ უფრო ძლიერდება მისი უარყოფითი მხარეები შემდეგი გარემოებით.

ნაფიცი მსაჯულნი რუსეთში იყვნენ ჯარისკაცნი—უკვე ხნოვანნი, სამხედრო საქმეებში გამოცდილნი, ჩვენში არიან 20 წლის პირები სულ რამდენიმე თვის წამსახურნი. სამხედრო „სულზე“ ლაპარაკი ზედმეტია. გამოუცდელობა კი მეტი აქვთ, ვინემ მოქალაქეთა სასამართლოს, სადაც 25 წლისაზე ნაკლებნი არ არიან მაშასადამე ჯარში გამოვლილნი და 6 თვის ჯარისკაცზე არა ნაკლებს მცოდნენი თვით სამხედრო საქმეშიაც. ქალების მონაწილეობა ნაფიც მსაჯულათ არ ქმნის ისეთ გარემოებას, რომ ამიტომ მათ საქმის გარჩევა არ შეეძლოთ.

ამავე ქალების მონაწილეობით ირჩევა რთული საქმეები ბანკების, სახელმწიფო სამსახურის, ანგარიშების სიყალბის საექიმო ექსპერტიზით და სხვ. თუ ექსპერტების დახმარებით ამ რთულ ფსიხიურ და სოციალურ მოვლენებში ერკვევა, რა გახდა მაინცდამაინც სამხედრო საქმე, ქვეყნის დაცვის საკითხი, რომელშიაც ყველა დაინტერესებულია და ყველა მოქალაქე ყურადღებით ეპყრობა.

ამას გარდა არის ბევრი სხვა მოსაზრება, რომელიც შეუძლებლათ ხდის ჩვენში სამხედრო სასამართლოების განსაკუთრებულ არსებობას. ეს იქნება ერთი, რომ მეტათ ძვირი დაგვიჯდება, თუ შევქმენით მთელი რიგი სასამართლოებისა რამდენიმე ათასი ჯარისკაცისთვის. მეორეთ, არ გვეყოლება სპეციალისტები, რადგან ამას უნდა სპეციალური უმაღლესი სასწავლებლები, სამხედრო აკადემიები და სხვა, როცა სამოქალაქო იურიდიული ფაკულტეტიც აქამდე ვერ გაგვიხსნია. ცხადია სულ მოკლე ხანში უნდა შევვრჩეს ხელში აუცილებლობა იურიდიულათ უვიცი სამხედრო მოსამართლეების დანიშვნისა. ნუ თუ ეს იქნება სამხედრო საქმის ერთგული სამსახური?

რასაკვირველია არა.

რაც შეეხება ამ კანონ-პროექტის ნაუცბათევობას, ესეც, რასაკვირველია, „საქართველოს“ ფანტაზიის შექმნილია. სამხედრო სასამართლოების გაუქმება განზრახული იყო და სათანადო მუშაობა დაიწყო 6—7 თვის წინეთ. ნახევარი წელიწადი მოუნდა მის დღევანდელ დაბნეული მდგომარეობის გარკვევას და თან იმის გამორკვევას, რა წარმოადგენს აქედან აუცილებელ მოთხოვნილებას ჯარის დისციპლინისთვის და რა არის კასტიური მიზნების მისაღწევათ შემოღებული. პირველი უნდა დარჩეს, მეორე შეიძლება განდევნილ იქნეს.

და აი დღეს სწარმოებს ასეთი მუშაობა, სამხედრო სამართლის სპეციალისტების მონაწილეობით. კანონპროექტი ჯერ საბოლოოთ არ დამთავრებულა და არც შესულა მთავრობაში.

ჩვენ მომხრე ვართ იმისა, რომ განხილულ იქნეს იგი პრესისა და საზოგადოების მიერ ყოველმხრივ, რომ ამით შესაძლებელი გახდეს აპარატის გამარტივებასთან ერთათ დაცვა ჯარის და რესპუბლიკის საარსებო ინტერესებისა თავდაცვის საქმეში. ძველი კასტიური ფსიხოლოგიის არგუმენტებს თავი უნდა დავანებოთ, ყაზარმულ წესებზე ხელი უნდა ავიღოთ, ჩვენ უნდა შევქმნათ დემოკრატიული ჯარი, დემოკრატიული რესპუბლიკის დამცველი, ჩვენ უნდა შევქმნათ დისციპლინა არა ჯარზე, არამედ შეგნებაზე დამყარებული, დამორჩილებას უფროსისადმი მხოლოდ ასეთ პირობებში ექნება ადგილი და მხოლოდ ასეთი ჯარი იქნება საუკეთესო დამცველი რესპუბლიკის.

ი.

საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან

საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ბ. ახმეტელაშვილმა ბერლინიდან ოფიციალურად აცნობა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, რომ გერმანიის რესპუბლიკის მთავრობამ 1920 წ. სექტემბრის 24-ს საქართველოს რესპუბლიკა ოფიციალურად „დე-იურე“ (იურიდიულად) აღიარა და თავის ელჩათ საქართველოში დანიშნა ბ. ულრიხ რაუხერი, მეუმრავლესე სოც. დემოკრატიული პარტიის ცნობილი წევრი.

გაკვრით

რა დიდ სიამოვნებას გრძნობდა სპეკულიანტების გაზეთი „საქართველო“, რომ ისეთი რამ ეშოვა, რითაც ის შესძლებდა განას გაჩუმებას. ამის იმედი მას არ აქვს და აქა ამიტომ ნომერს არ გაუშვებს ისე, რომ ლექსათ თუ პროზათ არ გამოვულანძღოს.

გუშინდელ ნომერში ისინი დიდი ხალისით სწერენ იმ ჩემი წერილის შესახებ, რომელიც შეეხებოდა ლანჩხუთის რაიონული შტაბის მოქმედებას, და რომელსაც ის „ოინებს“ ეძახის. იყო თუ არა ეს „ოინები“ ეს მალე გამოირკვევა. ჩვენ კი განვაგრძობთ ჩვენს მოვალეობას და მკითხველის ყურადღების შეჩერებას იმ მართლადა ოინებზე, რომელშიაც ბრალი ედება ნაციონალ-დემოკრატების ლიდერს ბ. გვაზავასა და რომელიც გამოქვეყნდა გაზეთებში. ბ. გვაზავა მიერეკებოდა ოსმალეთში ათიათას სულ ხარს და ძროხას ვითომდა [illegible], ნამდვილათ კი თურმე საქართველოდან და როცა ის ამ ჯოგს ბათომში გეზზე ათავსებდა, გაუგეს და ნება არ მისცეს. ეს ამბავი რამდენიმე დღეა გამოქვეყნდა გაზეთებში მაგრამ არც ბ. გვაზავა და არც მისი ორგანო „საქართველო“ ხმას არ იღებენ.

„საქართველო“ ალბათ იმიტომ გვლანძღავს ჩვენ ასე მაგრათ. რომ აქით სურს საზოგადოების ყურადღება გვაზავას საქმიდან სხვა რამეებზე გადაიტანოს და ასე მისი ლიდერის მოქმედება დროებით მაინც მიჩქმალოს. მარა „საქართველო“ ცდება. გვაზავას მოქმედება ისეთი წარმოუდგენელი, რომ [illegible] რომ მისი მიფუჩეჩება ყოვლად შეუძლებელია ნაციონალ-დემოკრატების ლიდერი ათიათას სულ ხარს და ძროხას მიერეკება ოსმალეთში და ისიც იმ დროს, როცა მისი ურდოები ყოველი მხრიდან ჩვენსკენ მოიწევენ და ჩვენი ქვეყნის დამხობას ლამობენ. ამ საქმის გამო გამოძიება უკვე სწარმოებს და აი ჩვენ ურჩევთ „საქართველოს“ რედაქციის მეტი ყურადღება ასეთ „ოინებს“ მიაქციოს თორემ გზის ლანძღვა გინებით ის ფონს ვერ გავა და ვერც ერთ კაპეიკს ვერ შემატებს თავის პარტიული კაპიტალის გასადიდებლათ.

⁂

ვის არ აღელვებდა ჩოხატაურის მილიციის უფროსის მოქმედება „მოწაფეების დაკიდების“ შესახებ, რომელიც დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. საკვირველი ისაა, რომ გურიაში გამოჩნდა ისეთი კაცი რომელმაც ეს გაბედა! ჩვენ მოუთმენლათ მოველოდით ცნობას თუ რა ბედი ეწვია ამ სიმხეცის ავტორს და აი დღეს გვატყობინებენ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს, როგორც კი წაუკითხავს ჩვენს გაზეთში ის საზიზღარი ამბავი, მაშინვე განკარგულება მოუხდენია მილიციის უფროსის დასაჭერათ და საქმის სასამართლოსთვის გადასაცემათ.

ბატონი მილიციის უფროსი უკვე ციხეში ზის და უცდის სასამართლოს განაჩენს და ჩვენ გვჯერა, რომ ეს განაჩენი იქნება ისეთი, რომელიც ყოველგვარ ხალისს დაუკარგავს ასეთებს, გაიმეორონ ჩოხატაურის მილიციის სისაძაგლე.

განი.

მაქსიმ გორკის წერილი ლენინისადმი

გაზ. „ვოლია როსსია“-ში, რომელიც პრაგაში გამოდის, მოთავსებულია თებერვლის თარიღით მაქსიმ გორკის წერილი ლენინისადმი რომელიც საინტერესოა განსაკუთრებით იმით, რომ ამ წერილის შინაარსსა და გორკის წინანდელ განცხადებებს შორის დიდი განსხვავებაა. მოგვყავს ეს წერილი:

„ვლადიმერ ილიას ძევ,—სწერს გორკი თავის წერილში, — დაბეჯითებით გთხოვთ მიიღოთ და მოუსმინოთ პროფესორ ვ. ტ. ტიანკოვს, სამხედრო-საექიმო აკადემიის პრეზიდენტს.

აქ დაატუსაღეს რამოდენიმე ფრიად ცნობილი რუსი მეცნიერები; მათ შორის: დეპპი, ოსიპოვი, გერეშინი, ბუში, კროგიუსი, ოლდენბურგი, ბელოგოლოვი, დ. დ. გრიმი და სხ. მე საჭიროთ მიმაჩნია გაგაცნოთ ჩემი შეხედულება ამ შემთხვევის გამო.

ჩემთვის ქვეყნის სიმდიდრე, ხალხის ძალა გამოიხატება ინტელექტუალურ ძალთა რაოდენობაში და ღირსებაში. რევოლიუციას აზრი მხოლოდ მაშინ აქვს, როდესაც იგი ხელს უწყობს ამ ძალთა ზრდას და განვითარებას. მეცნიერებს მეტის სიფრთხილითა და პატივისცემით უნდა მოეპყრათ—განსაკუთრებით ჩვენში, სადაც 17 წლიანი ბავშვები ყაზარმებში და სამოქალაქო ომის სასაკლაოზე მიდიან და, სადაც ინტელექტუალურ ძალთა ზრდა-განვითარება დიდის ხნით შეჩერებული იქნება.

ჩვენ ვუფრთხილდებით ჩვენს თავს და თავსა ვკვეთავთ ხალხს, ვანადგურებთ მის ტვინს.

თუ კი ჩვენ მივმართავთ ისეთ ბარბაროსულსა და სამარცხვინო საშუალებას, როგორათაც მე მიმაჩნია ქვეყნის კულტურულ ძალთა განადგურება,—ცხადია, რომ ჩვენ არა გვაქვს იმედი გამარჯვებისა და არა გვაქვს გაბედულება პატიოსნათ დავიხოცოთ.

თავდაცვისათვის მიღებული ასეთი ზომა მხოლოთ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვაშკარავებთ ჩვენს მშიშარობას, ვღიარებთ სისუსტესა და, ბოლოს, გვსურს შური ვიძიოთ ჩვენი საკუთარი უუნარობის გამო.

მე ენერგიულ პროტესტს ვაცხადებ ასეთ ტაქტიკის წინააღმდეგ,—ტაქტიკის, რომელიც ასნეულებს ხალხის ტვინს, რომ თქვენ გაიმეორებთ ჩვეულებრივ სიტყვებს: „პოლიტიკური ბრძოლა“, „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენს წინააღმდეგაა“, „ნეიტრალური ადამიანები სახიფათო არიან“ და სხვადასხვა.

დადებითი მეცნიერების წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობა ნეიტრალურია, ობიექტურია ისე, როგორც თვით მეცნიერება,—ეს აპოლიტური ხალხია. მათ შორის უმრავლესობა მოხუცები და ავადმყოფებია,—საპყრობილე დახოცავს მათ ისინი უკვე საკმაოთ დასუსტებულნი არიან შიმშილით.

ვლადიმერ ილიას ძევ, მე მათ მხარეს ვიჭერ და ვამჯობინებ დაპატიმრებასა

დღეს

გერმანიის რესპუბლიკის მთავრობამ ოფიციალურად იურიდიულად აღიარა საქართველოს რესპუბლიკა და თავის ელჩად საქართველოში დაინიშნა ბ. ულრიხ რაუხერი მეუმრავლესე სოც. დემოკრატიული პარტიის ცნობილი წევრი.

6 ნოემბრიდან ქ. თფილისის მოქალაქეთ დაურიგდებათ ნავთი ბარათებით ქალაქის სასურსათო განყოფილებიდან.

ინგლისში მეშალაროეთა გაფიცვა დასრულდა. მუშებს ჯამაგირი მოუმატეს.

იკრიბება ფინლიანდიის, რუმინიის და პოლონეთის კონფერენცია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო კავშირის შესაკვრელად.

ვარშავიდან მიღებული ცნობებით კიევის რაიონში აჯანყებებია. აჯანყებულები კიევს გარს ერტყმიან.

სომხეთის დიპლომატიური მისიის ცნობით 4 ნოემბერს სომხეთის ჯარსა და ოსმალეთის ჯარებს შორის მძაფრი ბრძოლები გრძელდებოდა. სომხეთის ჯარები ალექსანდროპოლისაკენ იხევენ.

და ციხეში ჯდომას, ვიდრე მონაწილეობა მივიღო, თუ გინდ უხმოთ, ჩვენი ხალხის საუკეთესო და ძვირფას ძალების განადგურებაში.

ჩემთვის აშკარა შეიქნა, რომ „წითლები“ ისეთივე მტრებია ხალხისა, როგორც „თეთრები“.

პირადათ მე, რასაკვირველია, ვამჯობინებ სიკვდილს „თეთრების“ ხელით, მაგრამ არც „წითლები“ არიან ჩემი ამხანაგები.

ნება მიბოძეთ იმედი ვიქონიო, რომ თქვენ გაიგებთ ჩემს აზრს“.

მაქსიმ გორკი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ნოემბრის 5.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

ინგლისი და საბჭოთა რუსეთი.

მოსკოვი 5 ნოემბ. ვრანგელის მძიმე მდგომარეობის გამო დასავლეთის ბურჟუაზიულმა მთავრობამ სხვა ჰანგზე დაიწყო ლაპარაკი. ინგლისის მთავრობამ განაცხადა, რომ თანახმაა განაახლოს ჩვენთან სავაჭრო დამოკიდებულება, როდესაც ჩვენ მათ ტყვე ინგლისელებს დავუბრუნებთ. საბჭ. მთავრობა დიდი ხანია, რაც ტყვეებს აბრუნებს.

ფინლიანდიის, რუმინიის და პოლონეთის კონფერენცია.

პარიზიდან მოსული ხმების თანახმად, საფრანგეთი, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ აშკარა ბრძოლას აწარმოებდა, ეხლა ვითომ სწყვეტს დახმარებას ვრანგელის მიმართ. როგორც სჩანს საფრანგეთი ვრანგელის დამარცხების შემდეგ ბრძოლის ახალ გზებს ეძებს, ამ მიზნით იკრიბება სამხედრო კონფერენცია ჩვენ მეზობელ სახელმწიფოების: ფინლიანდიის, რუმინეთისა და პოლონეთის, ეს განაპირა სახელმწიფოები საფრანგეთის კარნახით ჩვენ წინააღმდეგ სამხედრო შეთანხმებას სდებენ. ყოველ შემთხვევაში ვრანგელის დამარცხებას თავისი შედეგები უკვე მოაქვს. ვრანგელის განადგურება ჩვენ საერთაშორისო მდგომარეობას განამტკიცებს და მისი მოსპობის შემდეგ დასავლეთის ბურჟუაზიული სახელმწიფოები დიდხანს ვეღარ ჩაერევიან ჩვენ შინაურ საქმეებში.

რაკოვსკის მოხსენება.

ხარკოვის მუშათა და წითელ ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს საზეიმო სხდომის გახსნაზე უკრაინის სახელ. კომ. საბჭოს თავმჯდომარემ რაკოვსკიმ მოხსენება გააკეთა საგარეო პოლიტიკის შესახებ. მან დაამოწმა ცნობა, რომ პოლონეთის სარდლობამ პეტლიურას ჯარის მოქმედების პასუხისმგებლობაზე უარი განაცხადა. ჩვენ ვიცით, რომ პეტლიურას ჯარი ბალახოვიჩის ჯარების დახმარებით გაძლიერდა. ხარკოვის პროლეტარიატის წარმომადგენლებმა ერთხმათ გამოსთქვეს თავისი აღშფოთება პოლონეთის ორმაგ პოლიტიკის გამო, რომელიც ერთის მხრით ზავსა ჰკრავს და მეორე მხრით უთანაგრძნობს პეტლიურას და ბალახოვიჩის უკრაინასთან ბრძოლას.

მეშალაროეთა გაფიცვა დასრულდა.

ინგლისელ მეშალაროეთა უმრავლესობა გაფიცვის გაგრძელების მომხრეა, მაგრამ „სოგლაშატელების“ ბელადებმა მაინც დაადგინეს, რომ რადგანაც გაფიცვის გაგრძელების მომხრეები არ აღმოჩნდა მუშათა $^{2}/_{3}$, ამიტომ გაფიცვა შესწყდეს. ინგლისის მთავრობამ მეშალაროეებს ხელფასი მოუმატა.

მონარქიული მოძრაობა ყირიმში.

მოსკოვი. 5 ნოემბ. „პრავდას“ მოწინავე სწერს: ვრანგელმა თავის მიწის კანონში ნამდვილი მემამულის ბუნება ამოიჩინა. ყირიმში მონარქიული მოძრაობა ძლიერდება. ზომიერი კადეტებიც კი სტოვებენ თავის ადგილს. ბურცევს დროებით მოუსპეს დახმარება და იგი საეჭვო პირათ მიიჩნიეს.

უმუშევრობა ინგლისში.

ინგლისში კატასტროფიულად იზრდება უმუშევრობა. უმუშევართა რიცხვი 400,000 აღწევს. ნახევარ მილიონამდე კაცი კი არ მუშაობს განსაზღვრულ დროის განმავლობაში.

ინგლისი და გერმანია.

უკანასკნელ ხანში ინგლისის ლიბერალურ წრეებში იზრდება მოძრაობა ინგლის-გერმანიის დაახლოვების სასარგებლოთ და გერმანიის ერთა ლიგაში შესასვლელათ. ეს გამოიწვია ინგლის საფრანგეთის შორის მომწიფებულმა კრიზისმა.

პროტესტი.

ვაშინგტონის მთავრობამ რუმინეთის მთავრობას ბესარაბიის ანექსიის გამო პროტესტით მიმართა.

რუსეთი და ამერიკა.

ვაშინგტონში რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების პროექტის შედგენა დაიწყეს.

რევოლიუციონური მოძრაობა კორეაში.

კორეაში რევოლიუციონური მოძრაობა იზრდება. რევოლიუციონერებმა შეადგინეს მთავრობა, რომელსაც იაპონიის პოლიციამ ვერაფერი მოუხერხა. კორეელებს ეს მთავრობა ავტორიტეტულად მიაჩნიათ და ყოველივე საქმისთვის მას მიმართავენ ხოლმე. ამით ისინი იაპონიის ადმინისტრაციაში დიდს სიბრაზეს იწვევენ. კორეელებმა გადასწყვიტეს ცეცხლითა და მახვილით იბრძოლონ დამოუკიდებლობის დასაცავათ.

დიდი ახალი საჰაერო გემი.

პეტროგრადში გაემგზავრა საგანგებო კომისია, რომელმაც დაათვალიერა და მოიწონა ელექტრო-მატარებლის გამომგონ ინჟ. მახონინის ახალი საჰაერო გემის პროექტი. გემის მატორს ექნება 24000 ცხენის ძალა, შეიძლებს 60,000 ფუთ. ტვირთის წაღებას, გემზე მოეწყობა კაიუტები, რომლებიც სართულობით იქნება. კაიუტები შეერთებული იქნება ლიფტით. გემზე დაეტევა ჰაეროპლანი, ავტომობილი სამატორო ნავი. გემი წაიყვანს 100 კაცს. საათში ის გაიფრენს 100 ვერსტს. გემის დამზადებას 1921 წლ. მაისისათვის 1-სათვის ფიქრობენ.

სამხედრო ცნობა.

ყრიმის რაიონში ბრძოლა გრძელდება, ხარკოვში 1000 მეტი წამოვიყვანეთ. ბრძოლის შემდეგ ავიღეთ გენიჩესკი.

გერმანული პრესა

გარდინგის პრეზიდენტათ არჩევის გარშემო.

გერმანიის პრესა გარდინგის პრეზიდენტათ არჩევას სიხარულით ეგებება და მას ეს ფაქტი ვილსონის პოლიტიკის დამარცხებათ მიაჩნია. გაზეთები იმედს გამოსთქვამენ, რომ გარდინგი შეეცდება ერთა ლიგის საქმეთა გაუმჯობესებას და გერმანიას შიგ თანასწორ უფლებას მიანიჭებს. საერთო აზრია, გარდინგს არა აქვს განზრახული ჩაერიოს ევროპის საქმეებში, მაგრამ ბევრსა სწამს, რომ ამერიკა თავის საკუთარ ინტერესების გამო დახმარების ხელს გაუწვდის ევროპის აღდგენის საქმეს და მათ შორის გერმანიასაც.

ლანგე მეცნიერების შესახებ.

დოქტორმა ლანგემ ევროპაში და კერძოდ გერმანიაში მეცნიერების მდგომარეობის შესახებ წერილი დაბეჭდა, ლანგე საჯაროდ აცხადებს, რომ დანიის მეცნიერები გერმანიას დაეხმარონ.

ფრანგული პრესა

პარიზის ბირჟა.

პარიზის ბირჟაზე მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. განსაკუთრებით კარგ მდგომარეობაშია საფრანგეთის საკრედიტო საზოგადოებები და ზოგიერთ საქონლის როგორც მაგ. ტყვიისა და შაქრის ფასები.

ინგლისის მეშალაროეთა გაფიცვის გარშემო.

„ფიგარო“ იუწყება, ინგლისის მეშალაროეთა რეფერენდუმის შედეგების შესახებ. 338.045 ხმა მიიღო შეთანხმების მომხრეებმა. წინააღმდეგ კი 346.000 ხმა წინადადების მიღებამდე საჭირო იყო ხმების $^{2}/_{3}$. მეშალაროეთა კონფერენციამ განაცხადა, რომ გაფიცვა დასრულებულია და მუშები დაუყონებლივ უნდა შეუდგნენ მუშაობასო.

გაფიცვა ისპანიაში.

ისპანიის ყოველ კუთხეს არეულობისა და გაფიცვების ტალღა მოედო. იქ, სადაც ყველა წარმოება ინგლისის კაპიტალისტთა ხელშია, მუშები 4 კვირაა გაფიცულები არიან.

გაფიცვა ინდოეთში.

სამხრეთ ინდოეთში გაფიცვები არ სწყდება. ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები ისევ გაიფიცნენ.

საქ. დემ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

აჯანყება მოსკოვში.

ლონდონი. ლონდონის პრესა კვლავ ბეჭდავს ცნობებს მოსკოვში მომხდარ აჯანყების შესახებ. ეს აჯანყება პურის ულუფის შემცირებამ გამოიწვია. გაზეთში იუწყებიან, რომ ხალხი არბევდა ფურნეებს, დუქნებს და განმანაწილებელ პუნქტებს, სადაც ხალხს შეტაკება პოლიციასთანო. წითელ არმიელების დიდმა ნაწილმა მიუხედავად ბრძანებისა ხალხისათვის სროლაზე უარი განაცხადა. ხმებია, თითქოს მოკლულთა შორის ორი კომისარიც იყოს. „ივნინგ სტანდარტი“ ამ ცნობას უმატებს იმასაც, რომ ხალხს მხარეს წითელ არმიელთა რაზმი მოქმედებდა.

აჯანყება კიევის რაიონში.

ვარშავა. სარწმუნო წყაროების მიხედვით ცნობები ბოლშევიკების დამარცხების შესახებ კიევის რაიონში სიმართლეს წარმოადგენს. აჯანყებულებს ხელთ უგდიათ სადგ. იაგოტინი (ეს სადგური კიევის მახლობლად იმყოფება.) აჯანყებულთა რამოდენიმე რაზმი კიევთან მისულა. აჯანყებულთა სხვა რაზმებს დაუკავებიათ კოზელეცი. კიევის ჩრდილოეთით მესამე ჯგუფი მოდის დნეპრით სამხრეთიდან (კანევით-კიევისაკენ). ამ გვარად აჯანყებულები კიევს გარს ერტყმიან ყოველი მხრიდან.

ფინანსიური რეფორმა.

პარიზი. „ტანი“ იუწყება საფრანგეთის ფინანსიურ რეფორმის შესახებ. ეს რეფორმა ჯერ მხოლოდ განზრახულია. ფიქრობენ გამოუშვან 6% სესხი 30 მილიარდი, რომლის მიღებაც სავალდებულო იქნება, როგორც ნამდვილი ფულისა. „ტანის“ ფიქრით ეს სესხი დამღუპველი იქნება საფრანგეთის ფრანკის კურსისათვის. გაზეთის აზრით ამ ჟამად საჭიროა, რომ რაც შეიძლება შემცირდეს სახელმწიფოში არსებული ფულის ნიშნები.

სიძვირე ინგლისში.

ლონდონი. (საკუთარი კორესპონდენტისაგან) დიდ ბრიტანეთში არსებული კრიზისი ვაჭრობისა ცუდ გავლენას ახდენს ყველაფერზე. მდგომარეობის ახლო ხანში გაუმჯობესების იმედი არ არის. განსაკუთრებით ძვირია ცხოვრება. თუ მხედველობაში მივიღებთ ინგლისისა და საქართველოს ფულების სათანადო კურს—უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოში ცხოვრება ორჯერ უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ინგლისში.

პროფესიონალური მოძრაობის გარშემო.

მოსკოვი. მოსკოვის პროფ. კავშირთა საბჭომ გერმანიის მუშებს მიმართა წერილით, მოსკოვის პროფ. კავშირთა და ბერლინის პროფ. კავშირის წარმომადგენელთა შორის არსებულ მოლაპარაკების შესახებ. მოსკოვის კავშირი სწერს: ბერლინის კავშირთა წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს მესამე ინტერნაციონალისა და საერთაშორისო პროფ. კავ. საბჭოსთან კავშირის შეკვრაზე. გერმანიის წარმომადგენლებმა უარიც კი განაცხადეს გერმანიის მუშებში საერთაშორისო პროფ. კავშირთა საბჭოს გამოცემათა გავრცელებაზედ.

შეიარაღებული თავდასხმა მოსკოვში.

„იზვესტია“ იუწყება: დღისით, მოსკოვის ცენტრალურ ნაწილში მოხდა შეიარაღებული თავდასხმა. წაიღეს 288 მილ. მანეთი. დაცემა გაგრძელდა 3—4 წუთი. ყაჩაღები მიიმალნენ. მოკლეს რამოდენიმე წითელი არმიელი.

ოსმალთა თავდასხმა სომხეთზე

სომხეთის დიპლომატიური მისიის ოფიციალური ცნობა: ნოემბერს ყარსისა და ალექსანდროპოლს შორის სწარმოებდა გაფართოებული ბრძოლა ოსმალეთის ჯარებთან. მტრის ძლიერი ძალების მიწოლით ჩვენი ჯარები ალექსანდროპოლისაკენ იხევენ.

—

მისიიდანვე იტყობინებიან, რომ სიმართლეს არ შეეფერება ხმები იმის შესახებ, თითქოს სომხეთში პოლიტიკური გადატრიალება მომხდარიყოს. გუშინწინ 4 ნოემბერს მისიის მრჩეველი მ. ფირმანოვი პირდაპირი მავთულით ელაპარაკა ერევანს და მას გადასცეს, რომ სომხეთში სიწყნარეა და სომხეთის ჯარი ყარსთან უფრო ახლოა, ვინემ ალექსანდროპოლთან.

სხვა და სხვა ქვეყნის სახელმწიფ. წყობილება

გლარისი.

გლარისი შვეიცარიის კავშირის წევრია, **თავისუფალი და დემოკრატიული კანტონია.** კონსტიტუცია (1887 წ.) აღიარებს ხალხის სუვერენიტეტს, **პირდაპირ დემოკრატიას**, თანასწორობას და თავისუფლებას, სინიდისის, რწმენის და სარწმუნოების თავისუფლება სავსებით უზრუნველყოფილია. აგრეთვე უზრუნველყოფილია პიროვნების ხელშეუხებლობა, ბინის შეუვალობა და სხ. სახელმწიფო ზრუნავს ღარიბთათვის.

სრულწლოვანი მოქალაქე (20 წლის) ყველა პოლიტიკური უფლებით არის მოსილი. არჩევნები უსიტყვოდ დემოკრატიულია. მაგრამ კანტონი გლარისი წარმოადგენს **პირდაპირ დემოკრატიულ-რესპუბლიკანურ მართვა-გამგეობის მაგალითს.**

ხელმწიფება ეკუთვნის კანტონის ყველა მოქალაქეთა შეკრებილობას—**სახალხო კრებას**—Landagemeinde-ს. ამ კრების დასწრება მოქალაქობრივი მოვალეობაა. სახალხო კრება ერთხელ იკრიბება წელიწადში, მაისში. ეს ჩვეულებრივ. არაჩვეულებრივ იკრიბება თვით სახალხო კრების გადაწყვეტილებით, ლანდრატის ან 1500 მოქალაქის მოთხოვნით. სახალხო კრების მოწვევა 8 დღით ადრე ცხადდება ოფიციალურათ.

ამ სახალხო კრებას ეკუთვნის მთელი ძალა უფლება, მთელი ხელმწიფება. იგი ღებულობს კანონს, სცვლის კონსტიტუციას, ირჩევს მთავრობას, მოსამართლეებს და სხ. თავმჯდომარეობს ლანდამანი. დღიურ წესრიგს ადგენს **ლანდრატი—ასე ვთქვათ, სათათბირო პარლამენტი.** ლანდრატს ირჩევენ ამრჩეველთა საარჩევნო ოლქებში პირდაპირ. ერთი წევრია 500 კაცზე. იგი ირჩევს პრეზიდენტს ერთი წლით. ლანდრატის წევრნი ღებულობენ გასამრჯელოს დღიურის და სასაათოს სახ.-ით. მისი მოვალეობაა—დაამზადოს პროექტები, ხელშეკრულებანი, თვალყური ადევნოს ადმინისტრაციას, დანიშნოს ზოგიერთი მოხელე, მოიწვიოს კანტონალური ლაშქარი და სხ.

ლანდრატი, როგორც ითქვა, სათათბირო საკანონმდებლო დაწესებულებაა. ნამდვილი სახელმწიფოურ უზენაესობას წარმოადგენს თვითონ სახალხო კრება.

აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის **მთავრობის საბჭოს** (7 კაცი), რომელსაც სახალხო კრება ირჩევს ერთი წლით. მისი თავმჯდომარე **ლანდამანია**, თავმჯდომარის მოადგილე შტატგალტერი.

სასამართლო ხალხის სახელით მოქმედებს, მოსამართლეებს ხალხი ირჩევს.

დიდს როლს თამაშობენ შვეიცარიის კანტონებში და კერძოდ გლარისში **სასკოლო კომუნები, ღარიბთა დამხმარე კომუნები** და სხ. მათ დიდი უფლებები აქვთ მინიჭებული. ისინი საჯარო უფლებრივი ორგანიზაციებია.

კანტონი იყოფა საარჩევნო თემებად (ცხრამეტია). თემი წარმოადგენს პატარა თვითმმართველ რესპუბლიკას. თემი შედგება რამოდენიმე თავგანისაგან. ესენი სახელმწიფო მართველობის და თვითმართველობის ავტონომიური ორგანოებია.

გადაშინჯვა შესაძლებელია ყოველთვის ჩვეულებრივი საკანონმდებლო წესით. ეს ეხება უფრო ნაწილობრივ გადაშინჯვას. როცა, მთლიანი გადაშინჯვაა, მაშინ [illegible] მარტო სახალხო კრება სწყვეტს მოხდეს თუ არა გადაშინჯვა. კრება, თუ ღებულობს გადაშინჯვის წინადადებას, ავალებს ლანდრატს ახალი კონსტიტუციის პროექტი წარმოუდგინოს მახლობელ სახალხო კრებას დასამტკიცებლად.

ასეთია სულ მოკლედ პატარა ავტონომიური სახელმწიფოს პირდაპირი დემოკრატიის კონსტიტუცია. ასეთი წყობილება სულ რამოდენიმე კანტონშია შერჩენილი. განვიხილოთ კიდევ ერთი ასეთი კანტონალური, წყობილება სანიმუშოდ.

აპენცელი.

აპენცელი—კანტონი შვეიცარიის კონფედერაციისა—დიდი ხანია სახელმწიფურად ორ ნახევარ კანტონად გაიყო: **გარე-აპენცელი და შინა-აპენცელი.** პირველი ნახევარ კანტონი დემოკრატიული რესპუბლიკაა სუვერენულია; რამდენადაც შეზღუდული არაა ფედერალური კონსტიტუციით, (მეორე ნახევარ კანტონი წარმომადგენლობითი რესპუბლიკაა).

კონსტიტუციის (1876 წ.) ძალით ხელმწიფება ეკუთვნის ხალხს, რომელიც პირდაპირ კანონმდებლობს **სახალხო კრების** სახით—**ლანდსგემეინდე**.

სარწმუნოება თავისუფალია, არსებობს სარწმუნოებრივი კომუნა. პოლიტიკური და მოქალაქობრივი თავისუფლება უზრუნველყოფილია ყოველი კომუნა-თემი ვალდებულია უპატრონოს თავის ღარიბ ღატაკთ. ეს ყველგან კომუნალურ მზრუნველობას შეადგენს შვეიცარიაში.

საარჩევნო ასაკი 20 წლამდეა. არჩევნებია საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული. ქალები უუფლებონი არიან. ყველგან ასეა კანტონებში.

ლანდსგემეინდე—სახალხო კრება—უზენაესი ორგანოა სახელმწიფოში. მასში მონაწილეობა ვალდებულებას შეადგენს ყველა მოქალაქისა. ის ჩვეულებრივ იკრიბება წელიწადში ერთხელ, აპრილის ბოლოს. არაჩვეულებრივ შესაძლებელია მისი მოწვევა [illegible].

მხოლოდ ლანდსგემეინდეს აქვს უფლება გამოსცეს და შესცვალოს კონსტიტუცია და კანონი, დაამტკიცოს ხელშეკრულობა, აირჩიოს მთავრობის და სხვა თანამდებობის პირნი. წლიური ანგარიში წარედგინება დასამტკიცებლად სახალხო კრებას.

დღიური წესრიგი, წარმოდგენილი **კანტონალური საბჭოს—პარლამენტის** მიერ, უნდა გამოქვეყნდეს ოთხი კვირით ადრე. **სახალხო კრებაზე კამათი არ სწარმოებს.** (ზოგან კანტონალურ პირდაპირ დემოკრატიაში სახალხო კრებაზე სწარმოებს საქმიანი მსჯელობა).

მთავრობა შესდგება შვიდი წევრისაგან. მისი თავმჯდომარე—**ლანდამანი**, ირჩევა ერთი წლის ვადით. უკანასკნელი თავმჯდომარეობს სახალხო კრებაზე. ერთი და იგივე ლანდამანის არჩევა ზედიზედ შეიძლება მხოლოდ სამჯერ.

კანტონალური, საბჭო—პარლამენტი შესდგება მთავრობის წევრთაგან და კომუნათა წარმომადგენელთაგან. ერთი წევრია 1000 მცხოვრებზე. კანტონალური საბჭო თვითონ იკრიბება.

კანტონალური საბჭო ამზადებს კანონპროექტებს, სცემს განკარგულებას, სდებს ხელშეკრულებას თანახმად კონსტიტუციისა, აქვს შეწყალების უფლება და აგრეთვე ასრულებს ფედერალური კონსტიტუციის დავალებას. როგორც ხედავთ, კანტონალურ საბჭოს შემადგენლობა არა-ჩვეულებრივი, განსაკუთრებული და წესით სდგება.

მართლმსაჯულება და სამოსამართლო ადმინისტრაცია იმყოფება კანტონალური საბჭოს ზედამხედველობის ქვეშ. უმაღლესი სასამართლო შედგება 11 წევრისაგან, რომელთაც ირჩევს ლანდსგემეინდე.

კომუნა თვითონ უძღვება თავის საქმეს კონსტიტუციის საზღვრებში. აქ არჩევნები მეტად დემოკრატიულია. კომუნა პაწია დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც რამდენიმედ შეზღუდულია კანტონალური კონსტიტუციით, ისე როგორც ეს უკანასკნელი შეზღუდულია კონფედერალური კონსტიტუციით.

კონსტიტუციის გადაშინჯვის წინადადების მიღება სწარმოებს ჩვეულებრივ საკანონმდებლო გზით. სრული გადაშინჯვის დროს დაისმება საკითხი სურს თუ არა სახალხო კრებას, რომ კონსტიტუცია გადაიშინჯოს და თუ სურს, მიენდოს მისი გატარება ცხოვრებაში.

ლანდსგემეინდე შესაძლებელია მხოლოდ პატარა სახელმწიფოებრივ ერთეულში. ასეთია აპენცელი და სხვა კანტონები, სადაც განხორციელებულია პირდაპირი დემოკრატია. ამ კანტონების ცხოვრება და საზოგადოებრივი ურთიერთობა განვითარებულია შედარებით წარმომადგენლობითი რესპუბლიკის დემოკრატიულ კანტონებთან. ამ წარმომადგენლობითი კანტონებში ამავე იმ სახით ყველგან შემოღებულია რეფერენდუმი და ინიციატივა, რომელიც ამსგავსებს არსებითად პირდაპირი დემოკრატიის კანტონებს.

ნ. ხაჭარელ

„სახალხო საქმეს“

„სახალხო საქმესთან“ ხშირად ცხარე კამათი გვიხდება. ამიტომ არც მიკვირს, როცა ის ასეთი სიამოვნებით ცდილობს ჩაეღლაუჭოს ყოველივე იმას, რაც ჩემს წინააღმდეგ გამოდგება. დღემდის მ. ნ. მიუხედავათ დიდი სურვილისა, ვერაფერი ასეთი ვერ იშოვა და ამიტომაა, რომ ის ამ ხელათ ასეთი სიხარულით შეუდგა ამ ჩემი კერძო წერილის გამოყენებას, რომელიც მოყვანილი იყო მთავარი შტაბის წერილში. მას მოჰყავს ეს წერილი და ამაყათ დაასკვნის: უყურეთ! დამფუძნებელი კრების წევრი მოწოდებული კანონის და კანონიერების დასაცავათ, თვითონ არღვევს კანონს და ისიც კერძო წერილითო!

„სახალხო საქმეს“ დიდი სურვილი აქვს, რომ ეს ასე იყოს, მარა მასდა სამწუხაროთ ეს ასე არ არის.

ჩემი კერძო წერილი შეეხებოდა შემდეგს: ფერ. ურატაძეს და გვარ. ოფიცერს ურუშაძეს შორის მწვავე ლაპარაკი მოხდა და ურატაძეს ბრალდებოდა შეურაცხმყოფელი სიტყვების წარმოთქმა მისდამი. ოფიცერი ურუშაძე, როგორც გავიგე, აპირებდა ჩივილს. მე საქმეში ჩავერიე, რომ მომერიგებინა ისინი და ურატაძისათვის ბოდიში მომხდევინებინა. და აი მე არ ვიცი, რატომ არ შეიძლება ჩაერიო ასეთ ინციდენტში და გამწვავების მაგიერ საქმე მშვიდობიანი გზით გაათავო? რომელიმე კანონი და კანონიერება ირღვევა იმით, რომ ორ პირს შორის მომხდარი პირადული შეურაცხყოფა ბოდიშის მოხდით ამოსწორდეს? მხოლოდ და მხოლოდ ამ კერძო ხასიათის „უსიამოვნებაზე“ ვლაპარაკობდი მე რაიონულ შტაბისადმი მიწერილ წერილში.

„სახალხოს“ ალბათ ძალიან უნდა ისეთი რამ ჩავიდინო, რომ „თავი ცუდათ ვიგრძნო“. თუ ასეა, ბოდიშს ვიხდი, მარა ასეთი სიამოვნება მისთვის არ მემეტება.

გრ. ურატაძე.

—

P. S. რაც შეეხება შტაბის წერილების დანარჩენ ადგილებს, რომელიც ეხება ლანჩხუთში მომხდარ შემთხვევას ჯერ კიდევ მაშინ, როცა მე არც კი ვიყავი საქართველოში, ამას გამოარკვევს ის პარტიული სასამართლო, რომელიც უკვე დაინიშნა და მე ვფიქრობ, რომ „სახალხო“ ვერც აქ იშოვის ისეთ რამეს, რაც ჩემს წინააღმდეგ გამოდგება...

გ. უ.

ქალაქის სასურსათო განყოფილებისაგან

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება ქალაქ თფილისის მოქალაქეთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ ნოემბრის 6 მოქალაქეთ დაურიგდებათ ნავთი შემდეგ პირობებში: შინ სახმაროდ საჭირო ნავთი დაურიგდება მცხოვრებლებს სხვადასხვა ნავთის მოვაჭრეთა საშუალებით მხოლოდ სასურსათო ბარათებით და სასურსათო განყოფილების აგენტთა მეთვალყურეობით. 2 ოჯახზე 1 ბარათი მიეცემა, ბარათებს აიღებს ბინის კომიტეტი რწმუნებული. ბარათები გაიცემა ქალაქის სასურსათო მაღაზიებიდან.

შენიშვნა 1. ოჯახს მიეცემა ერთი ბარათი კაცის სახელზე.

შენიშვნა 2. ბარათი არ მიეცემა მარტო ერთ კაცს. იგი უნდა მიეწეროს ოჯახს.

შენიშვნა 3. ბარათი არ მიეცემა მუშებს და მოსამსახურეებს (და მათ ოჯახებს) სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებს და კერძო სამრეწველოების, რომლებიც სარგებლობენ მუშათა მაგიდის ულუფით. მუშებს და მოსამსახურეებს, რომლებსაც დაუმტკიცდებათ ბარათის სასურს. განყოფილებისაგან მიღება, წაერთმევათ მუშათა მაგიდის ულუფა და ბარათიც ჩამოერთმევათ. 3. სახლის რწმუნებულმა ბარათის მისაღებათ უნდა მიმართოს სასურსათო მაღაზიებში კანტორის გამგეობას, რომელსაც უნდა წარუდგინოს ა. ბინის კომიტეტის რწმუნება და ან სახლის მცხოვრებთა წერილობითი დავალება, ბ. სახლის წიგნი გ. ოჯახის წევრთა სია დაწვრილებით აღნიშვნით, თუ ოჯახში რამდენი წევრია, დ. ბინის კომიტეტის მოწმობა შესახებ იმისა, რომ წარმოდგენილ სიაში არაა მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც სარგებლობენ მუშათა მაგიდის ულუფით. ყალბი ცნობის მოწოდებისათვის რწმუნებულს ან ბინის კომიტეტს ეკარგება ბარათის მიღების უფლება. 4. ნოემბერში ნავთი მცხოვრებთ ტალონის მიხედვით მიეცემათ. ნავთის მიღების ბარათზე მოხვევენ ტალონს. ფული ნავთის მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მცხოვრებთათვის ეღირება 560 მანეთი, მარცხენა ნაპირზე მცხოვრებთათვის კი 550 მანეთი. (დს.)

ახალი ამბები

შუამდგომლობა. ფინანსთა სამინისტრომ მიიღო შუამდგომლობა „ერმისის“ ამხანაგობისაგან შესახებ იმისა, რომ სამინისტრო დაეხმაროს მას ასანთის ქარხნის გახსნაში. ამხანაგობა შუამდგომლობს: 1) ნება მისცეს მას სახელმწიფო ბანკის საშუალებით უცხოეთის ვალიუტის შეძენისა. საზღვარ-გარეთ ნედლი მასალის შესაძენად და აქედან ადგილობრივი ნედლი მასალის გატანისა. ქარხნისთვის საჭირო საქონელზე უცხოეთში გადასაცვლელად. 2) უზრუნველყოფილი იყვეს ამხანაგობა სათბობი და ხე-ტყის მასალით.

◆ **ფინანსთა სამინისტროში.** სოფ. შუქრუთის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ვაჭრობა მრეწველობისა და ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რათა მიეცეთ მათ უფლება ამ რაიონში არსებულ შავი ქვის საკონცესიო საფუძვლებზე დამუშავებისა. დაწვრილებითი გეგმა და შრომის პირობები ფინანსთა სამინისტროს სახელზე გადმოიგზავნება არა უგვიანეს ნოემბრის 5.

◆ **თხოვნა.** ოზურგეთის სამაზრო ერობამ სთხოვა დახმარება შინაგან საქმეთა სამინისტროს, ახალი შარა გზების გასაყვანათ, ძველთა შესაკეთებლად. ერობა 13 მილ. მანეთის დახმარებას თხოულობს. ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრო სათანადო შუამდგომლობას აღძრავს მთავრობის წინაშე.

◆ **ქალაქთა კავშირმა** სთხოვა ფინანსთა სამინისტროს ნებართვა ქ. გორისათვის 12 მილ. მ. სესხის ფურცლების გამოშვებისა. ქ. გორს ეს თანხა დასჭირდება ამილახვრის მამულის შესასყიდათ. შუამდგომლობაში აღნიშნულია, რომ ქ. გორი ამ მამულის ყიდვით შეიძენს მშვენიერად მოწყობილ წისქვილს, ელექტრონის სადგურს და საკმაოდ დიდ ხილის ბაღს. ელექტრონის სადგური მთელ გორს გაანათებს.

◆ **საბიბლიოთეკო საქმე.** პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკაში მოხდა ბიბლიოთეკის საქმეების მცოდნეთა თათბირი. გამოირკვა ამ საქმის უნუგეშო მდგომარეობა. თათბირზე აღინიშნა საკითხავათ გატანილ წიგნების დაკარგვის შემთხვევები. ამ საქმეების გამოსასწორებლად გადასწყვიტეს თფილისში საბიბლიოთეკო საზოგადოების დაარსება.

◆ **სამურზაყანოდან დეპეშით** გვატყობინებენ, რომ სამურზაყანოს მაზრაში წვიმებმა მოსავალი სრულიად გააფუჭა.

◆ **საკოოპერაციო ცხოვრება.** საქ. კოოპ. ცენ. კავშირმა „ჩემოსთან“ დასდო ხელშეკრულება 600000 ფუთი შავი ქვის მისთვის [illegible] გერმანიაში გასატანად. „ჩემოსი“ [illegible] ქვა საქონელზე გადაცვალოს. ამავე კავშირის წარმომადგენელს [illegible] მოლაპარაკება აქვს ბრიტანეთის კოოპერაციის წარმომადგენლის საქართველოში გამოგზავნის შესახებ. საკოოპერაციო ცენტრმა ვალაცის ფირმისაგან შეიძინა 70 მილ. მანეთის იტალიიდან მიღებული მანუფაქტურა.

— ამავე კავშირის მიერ შეძენილ 100.000 ფ. მარილის მიღებას ამ დღეებში მოელიან.

◆ **„ცისარტყელა“.** გამოვიდა ჟურნალ „ცისარტყელას“ მეთერთმეტე ნომერი შემდეგი შინაარსით: ხარიტონ ვარდოშვილი: სათხოვარი სულთან: ისამანი: წერილი. ობოლი მუშა: 1) ორი სარკე, 2) ფიქრი შორეულზე. ვ. რუხაძე: 1) რისხვა, 2) ⁂. დ. [illegible]: სევდის წუთი. გ. ქუჩიშვილი: თბილისის ქუჩებში. შიო არაგვისპირელი: გაზარული გული. კ. გამსახურდია: ეგზოტიური ნოველები. არ. რუხაძე: ⁂. ტრიფონ რამიშვილი: ფრთა მოტეხილი ყორანი.

◆ **„ეშმაკის მათრახი“** № 48 გამოვიდა დღეს. ჟურნალში მოთავსებულია: სიზმარი—ეშმაკისა, ღია წერილი—თაგუნასი, ინტერვიუ—გრ. სლუჩაინისა, სპეკულიანტი, ლექსები—შექანჯალებულისა, ჩვენს პროფესორებს და სხვ. ამ ნომერში დაბეჭდილია აგრეთვე კარიკატურები სახალხო გვარდიის ყრილობის ზოგიერთ დელეგატისა.

◆ **რკინის გზელთა სასურსათო კომიტეტი.** რკინისგზელთა სასურსათო კომიტეტმა მომარაგების სამინისტროს ვაგონი ქართოფილი გადასცა. ეს ქართოფილი, დაურიგდებათ მუშებსა და მოსამსახურეებს. კომიტეტი იღებს ზომებს პურის ღირსების გასაუმჯობესებლად. პურს ორჯერ გაცრიან. აგრეთვე გაუმჯობესებულია პურის ფორმები. სასურსათო კომიტეტი შეუდგა რკინისგზელებისათვის ახალციხიდან მიღებულ ქართოფილის, კომბოსტოს და სხვ. დარიგებას.

◆ **შრომის სამინისტროში.** შრომის სამინისტრო იუწყება: რომ მან დაადგინა შემოიღოს ახალი წესი საკასაციო საჩივრების შეტანისა კამერის გადაწყვეტილებათა შესახებ. წინეთ მხარეებს საჩივარი უნდა შეეტანათ პირდაპირ შრომის სამინისტროში და აქედან იგზავნებოდა კამერაში, აქედან კი თანადო საქმეებით იგი გადაეგზავნება შრომის სამინისტროს.

◆ **ახალი წიგნი.** გამოვიდა და იყიდება მგოსან იოსებ გვანცალაძის (ჭერი) ლექსთა კრებული „უკანასკნელი ყვავილი“. წიგნი სუფთათაა გამოცემული და ღირს 50 მან.

◆ **თფილისის ცენტრალ ტელეგრაფის** კანტორის უფროსი გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: „უმეტეს ნაწილს დეპეშები რჩებიან ჩაუბარებლად მაშინ, როცა ისინი უმისამართოთ იგზავნება ან მისამართი არ არის. უმისამართო ან შემოკლებულ მისამართიან დეპეშის ჩაბარება ხშირად შეუძლებელია ისეთ დიდ ქალაქში, როგორიცაა თფილისი, მარტო ქუჩის ჩვენება, როგორც ხდება ხშირად, დამტარებელს არ აძლევს საშუალებას ადრესატს მიაგნოს და დეპეშა ჩააბაროს.

ამის გამო ვსთხოვ თფილისში დეპეშების მგზავნელებს მათივე ინტერესისათვის გზავნონ სრულ მისამართიანი დეპეშები, რომლებშიაც უნდა აუცილებლად იყოს ნაჩვენები: ქუჩა, შესახვევი, მოედანი, სახლის და ბინის ნომრები და ადრესატის გვარი, მაგალითად: „თფილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34, ბინა 10, პეტრიაშვილს, ან მათინოვის შესახვევი, 15, ბინა 3, ოგანოვს“.

თფილისის ცენტრალური ტელეგრაფის კანტორის უფროსი კვირიკაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ რ ო ნ ი კ ა.

— დღეს, საღამოს სრულ 6½ საათზე დანიშნულია მე-2 რაიონული კოლექტივის. საფინანსო კომისიის სხდომა ძიურის ბინაზე.

პროვინციის ქრონიკა.

ახალციხე. ოქტომბრის 25 ახალციხის სამაზრო ერობამ იყიდა სახერხი ქარხანა 1 800 000 მანეთად. ქარხანა ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას. სამაზრო ერობა ამ ჟამად მუშაობს ბორჯომ-ახალქალაქ-ახალციხეს შუა მიმოსვლის გასაუმჯობესებლად.

— **გორი.** ოქტომბრის 27. გორის სამაზრო ერობამ დაამტკიცა ატენის თემის დადგენილება სამკოლო საქმის საჭიროებისათვის ფულის შეკრების შესახებ. გადაწყვეტილია ატენის თემში ამ საქმისთვის შეაგროვონ 673 700 მანეთი.

გორის სამაზრო ერობამ დაადგინა ბილოს გორის მაზრის მთები საექსპლოატაციოთ. გადაიდვა ნახევარი მილიონი მანეთი კვლევა ძიებისათვის. ამ საქმის ხელმძღვანელობა ტექნიკურ კომისიას მიენდო.

— **ქუთაისი.** ოქტომბრის 30. ქუთაისის ერობამ შუამდგომლობა აღძრა მიწად-მოქმედების სამინისტროს წინაშე რომ გადაეცეს მას ქუთაისის მაზრაში საფონდო გადასახადების გაყიდვისაგან შემოსულ ფულის ორი მეხუთედი, ეს ფული დაიხარჯება არხების გასაყვანად ტბების ამოსაშრობათ და სხ. გადაწყდა აგრეთვე რომ ამ საქმისთვის 150 მილ. მან. გამოითხოვონ.

მუშათა კონტროლიორები და ქალაქის სასურსათო განყოფილება.

მწარე გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ მუშათა ეკონომიურ პირობების გაუმჯობესება ჯამაგირების გადიდების საშუალებით საზარალო გამოდგა. ამ მხრივ ჩვენი უმთავრესი ყურადღება მიქცეული უნდა იყოს სურსათის მოწესრიგების საკითხში. დავანებოთ თავი იმას, რაც არა გვაქვს და, რაც უცხო ქვეყნიდან მოსაზიდია. მოუაროთ და გავანაწილოთ ის, რაც უკვე გვაქვს და რაც ჩვენს ხელთაა. ამ მხრივ მომარაგების სამინისტრომ რესპუბლიკის ცხოვრებაში ისტორიული როლი ითამაშა. წარმოებაში ჩაბმული მუშათა ცოლშვილი უზრუნველჰყო იაფ ფასიანი პურით, რასაკვირველია, მუშათა გიგანტიურ მოთხოვნილებას ახალგაზრდა ორგანო სავსებით ვერ დააკმაყოფილებდა და მუშაც იძულებულია გავიდეს ბაზარზე პირველ საჭიროების სურსათის შესაძენად, სადაც მომარაგებას კერძო ინიციატივასა და სპეკულიაციას ფართე გასავალი აქვს. ბაზარზედ სპეკულიაციასთან საბრძოლველად მოწყობილია ქ. თვითმართველობის სასურსათო განყოფილება. რევოლუციონურ ხანაში თვითმართველობის ვალია სასტიკი თვალყური ადევნოს მის მიერ გამომუშავებულ ნიხრის ცხოვრებაში გატარებას, მტკიცე ფასები, მოხელეთა კანონისა და სინიდისის წინაშე სრული პასუხისმგებლობა, აქეთკენ უნდა იყოს მოწოდებული სასურსათო განყოფილება მათი რწმუნებულებით. რას ვხედავთ სინამდვილეში? ისინი არამც თუ დახმარებას უწევენ მომხმარებელს სურსათის იაფ ფასად შეძენაში, პირიქით ვაჭარ-სპეკულიანტებთან შეერთებულნი დიდს წინააღმდეგობას უწევენ შრომის სამინისტროსა და თფილისის სეკრეტარიატის მიერ წლობით აღჭურვილ კონტროლიორების მიმართ. და ეს ხდება მას შემდეგ, რაც თფილისის ბაზარზე მუშათა კონტროლიორების ენერგიულმა მუშაობამ სასურველი ნაყოფი გამოიღო, აილაგმა და გზა დაეხშო მექრთამეობას, ბაზარზედ გამოჩნდა გადამალული სურსათი, პროპორციონალურად განაწილდა მომხმარებელთა შორის ნიხრის თანახმად, რამაც რასაკვირველია შექმნა ნერვიული მდგომარეობა აგენტების სფეროში.

ჩვენს ხელთაა ასლი დანოსისა, რომელიც დაწერილია მუშათა კონტროლიორის ცინცაძის წინააღმდეგ, და რომელიც გაგზავნილია სასურსათო განყოფილების გამგის, ფანიევის მიმართ. თავის ვრცელ მოხსენებაში აგენტი ბარკალაია აღნიშნავს—რა მუშათა კონტროლიორის ვითომდა უკანონო მოქმედებას, დაჟინებით მოითხოვს უკანასკნელთა ალაგმვას.

„აგენტებმა უკეთ იციან, თავის მოვალეობის ასრულება, ამბობს ის. მათ უკეთ იციან თუ ვისგან რამდენი უნდა წაიღონ ხორცი,—მაგალითად სტამბის წევრებს მიაქვთ 7 ფუთამდე, სხვები უხორცოთ რჩებიან. გარდა ამისა უნდა მოგახსენოთ, რომ ძლიერ კარგი იქნებოდა საღამოს ხორცის მიცემა სხვადასხვა დაწესებულებებზე მოგვეხსნათ, ვინაიდან აგენტებს უხერხულ მდგომარეობაში აყენებსო“ და სხვა.

ვერც ერთი გარეშე მტერი ვერ მიაყენებს ჩვენს დემოკრატიულ წყობილებას თვალსაჩინო ზიანს, რამდენსაც შინაური წვრილფეხა მოხელეები. წარმოებაში ჩაბმულ მუშებისთვის უხერხულია მთელი დღის განმავლობაში რიგში დგომა სურსათის მისაღებად, მათ გამოსავალი ჰპოვეს მით, რომ მოხსნეს სამუშაოდან რამდენიმე კაცი, აღჭურვეს ფულით და სათანადო მოწმობებით რათა მხოლოდ მუშათა კონტროლიორების დახმარებით შესძლოს შეიძინონ სურსათი, რომელიც ნაწილდება ადგილობრივ საქარხნო კომიტეტის ზედამხედველობით.

აგენტების მუშაობაში არ ყოფილა შემთხვევა გარდა ორიოდე კეთილ-სინდისიერ პირისა, რაიმე დახმარება აღმოუჩინოთ ხალხისათვის სურსათის შეძენის საქმეში. პირ-იქით, გამოჩნდება თუ არა ბაზარზე ხორცი, აგენტები ფუჩო-უკვლოდ გარბიან, თავს ანებებენ მათ დამი რწმუნებულ ადგილს ემალებიან ხალხს, ემალებიან საჩივარს, რათა ვაჭრებს მისცენ საშუალება მიღებული სურსათი გადამალონ, და თუ დღეს ასეთ ბოროტებას ნაკლები გასავალი აქვს, მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კონტროლიორების ფხიზელი მეთვალყურეობის -წყალობით, რომელზედაც აშენდა აგენტ ბარკალაიას და კომპ. მოხსენება საღამოობით დაწესებულებათათვის მიცემის ხორცის შეწყვეტის შესახებ. ჩვენ არ გვიკვირს აგენტ ბარკალაიასა და კომპ. ზრახვები,—ჩვენ გვიკვირს და აღშფოთებას იწვევს გამგეობის წევრის ფანიევის რეზოლიუცია, რომელიც მიმართულია საერთოდ მუშათა კონტროლიორების მოღვაწეობისა და კერძოდ კი კონტროლიორ ცინცაძის წინააღმდეგ.

„ქალაქ თფილისის ტერიტორიაზე მოქმედებს ქალაქის მიერ მიღებული სავალდებულო წესები, მას ანხორციელებს ქალაქის აგენტები. ამ ნიადაგზე უნდა მუშაობდეს ყველა და არავის არ უნდა ეპატიოს სათანადო გზით მიღებული წესებში უხეშათ შეჭრა. კონტროლიორ ცინცაძის მოქმედებაში კი ასეთი ელემენტი სჩანს. აგენტების დაუკითხავად არავის არა აქვს ნება განკარგულების მოხდენის ამ სფეროში“. (ა. ფანიევი) (ეს რეზოლიუცია გადაგზავნილია მუშათა მაგიდისთვის სათანადო ზომების მისაღებათ). დიახაც, ჩვენც ვიცით, რომ ქალაქის აგენტები მოწოდებულია მიღებულ სავალდებულო წესების დასაცავად, ხოლო იგივე აგენტები არ უნდა იყოს მოწოდებული სხვადასხვა საიდუმლო კომბინაციებისათვის „50 ათასი მანეთი ერთხელ გადამიხდია, 50 ათასს თქვენ მოგცემთ და ჩემი საყასბოდან ხორცს ნუ წაიღებთო“,—მიმართა ჩვენ რწმუნებულს ერთმა ვაჭარმა სოლდათის ბაზარში. ამიტომაა, რომ საყასბოს აგენტები არ ეკარებიან და თუ მათ მოვალეობას კეთილ-სინდისიერად ასრულებენ მუშათა კონტროლები მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, შექმნილ პირობების გამო ტრაგიკულია მუშათა კლასის დღევანდელი მდგომარეობა, მაგრამ ის უფრო ტრაგიკულია და აუტანელი მაშინ, როდესაც ის მასთის ამ საბედისწეროდ შექმნილ მდგომარეობიდან სცდილობს თავის დახწევას, ეძებს გამოსავალს, მაგრამ მას წინ ეღობებიან, გასავალს არ აძლევენ. სწორედ ამ მხრივ იყო მიქცეული მთავრობის თავმჯდომარის ყურადღება, რომლის ბრძანებამაც გამოიწვია ქალაქის სასურსათო განყოფილების მოხელეთა გაცხრილვა, მაგრამ როგორც ეტყობა ჯერ კიდევ ბევრია დარჩენილი.

სახელმწიფო სტამბის მუშა მოსამსახურეთა კომიტეტის თავმჯდომარე **ალ. გადაჭკორია.**

უცხოეთი

იტალია.

განხეთქილება სოციალისტურ პარტიაში

სოციალისტურ პარტიის ცენტრალურმა ორგანომ „ავანტიმ“ 29 სექტემბერს შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: „გრაციადეიმ განაცხადა პარტიის გამგეობის სხდომაზე, რომ მთელს ქვეყანაში აუცილებელია სოციალისტურ პარტიაში რასკოლი. კომუნისტები მოითხოვენ მოქმედების სრულ თავისუფლებას. სერატიც აგრეთვე იმ აზრისაა, რომ პარტია რასკოლისაკენ მიდის.

რომიდან იტყობინებიან, რომ მოსკოვის პირობების გამოქვეყნებამ „ავანტიში“ გამოიწვია დიდი აღელვება ქვეყნის სოციალისტურ წრეებში. თავის განცვიფრებას არ მალავს არც პარტიის ოფიციალური ორგანო. „ავანტი“ არ უარყოფს იმას, რომ მოსკოვის „უკაზმა“ დიდი არეულ-დარევა გამოიწვია და რომ მოსკოვის მიერ წამოყენებული პირობები მეტად მძიმეა.

გერმანია.

გერმანიის ნაციონალისტები და ბოლშევიკები.

„მატენის“ კორესპონდენტი სოლდაუდან იტყობინება შემდეგ საყურადღებო დაწვრილებით ცნობებს ბოლშევიკებისა და გერმანიის ნაციონალისტების დაძმობილების შესახებ.

„10 აგვისტოს მოხდა ქალაქის გერმანელებზე გადაცემა. საზეიმო სხდომაზე ქალაქის თეატრში თავმჯდომარეობდა გენერალი გეი, ჩრდილოეთ საბჭოთა არმიის ცხენოსან ნაწილების უფროსი. წითელ და გერმანიის ნაციონალურ დროშებით მორთულ დარბაზში გენერალმა გეიმ ალიარა გერმანულ-ბოლშევიკური კავშირი. ორკესტრმა შესრულა „ინტერნაციონალი“ და გერმანიის ნაციონალური გიმნი „ვახტ ამ რეინ“. ბოლოს ბურგომისტრმა შტიმერმა, მიუთითა რა დარბაზში მყოფ გერმანელ ჯარისკაცებზე, მიმართა გეის შემდეგი სიტყვებით. „უყურეთ, გენერალო: თქვენი არმიის შემოსვლისთანავე ჩვენი ჯარისკაცები კვლავ გამოვიდნენ თავის სარდაფებიდან, ჩვენ ამის შემდეგ შეერთებულნი ვართ და შევსძლებთ ყველა ჩვენი მტრების დამარცხებას.

შეერთებული შტატები.

დემოკრატების დამარცხება.

რესპუბლიკანელებმა პირველად ძლიერ დაამარცხეს დემოკრატები შტატ მენის არჩევნებში. ყველა სხვა დანარჩენ შტატების წინაამდეგ, რომლებშიაც ადგილობრივი არჩევნები პრეზიდენტის არჩევნებთან ერთად ხდება, შტატმა მენმა არ მოუცადა საერთო, არჩევნებს ამოირჩია თავისი გუბერნატორი, თავისი წარმომადგენლები კონგრესში და სხვა ასარჩევ თანამდებობის პირები.

მენი მუდამ რესპუბლიკანურ შტატათ ითვლებოდა, მაგრამ ამ შტატში არჩევნებში დემოკრატების და რესპუბლიკანელების ხმების შეფარდება მუდამ იყო მაჩვენებელი საერთო არჩევნების შედეგებისათვის, ამ წელიწადს დემოკრატები იმედოვნებდნენ, რომ წაართმევდნენ რესპუბლიკანელებს 20,000 ხმას. მაგრამ რესპუბლიკანელი გუბერნატორი იქმნა არჩეული 60,000 ხმის უმრავლესობით. აგრეთვე კონგრესის წევრებათაც და თანამდებობის პირებათაც მხოლოდ რესპუბლიკანელები გავიდნენ.

გაზეთები აღნიშნავენ ვილსონის და მისი ადმინისტრაციის არა პოპულიარობას, როგორც უმთავრესს მიზეზს დემოკრატების დამარცხებისა. ამასთანავე ყველა შტატებში სენატში კანდიდატების არჩევამ გამოააშკარავა რომ მაშინ, როცა ამომრჩევლების წინ სდგას არჩევანი ხალხთა ლიგის ხელშეკრულების მომხრეთა და მის შესწორების მომხრეთა შორის ამომრჩევლები უპირატესობას აძლევენ მეორეებს.

უნგრეთი.

რეაქცია მუშაობს. ბუდაპეშტში მოხდა კონფერენცია „აღორძინების გზაზე შემდგარ უნგრეთის“ ორგანიზაციისა. თავმჯდომარეობდა ვიღაც ნეიასი, ღირსეული მოწაფე დიქტატორ-რეაქციონერის ხორტისა. კონფერენციამ, სხვათა შორის, შემდეგი დადგენილებები გამოიტანა: ებრაელებს უფლება არ უნდა ჰქონდეთ დაიკავონ პასუხისმგებელ რედაქტორების თანამდებობანი. თვითეულ ჟურნალისტმა ფიცი უნდა დასდოს, რომ იგი ემსახურება მხოლოდ ქრისტიანულ მორალს და არავითარ ზიანს არ მიაყენებს მადიართა ხალხს. ებრაელთა გაზეთების ბეჭდვა და გავრცელება აღკრძალულია. ყოველგვარი წარწერებით და „ვივესკები“ ებრაულ ენაზე უნდა ჩამოიხსნას. ცენზორებათ შეუძლიათ იყონ მხოლოდ ქრისტიანებს, დაბადებით მადიარებს და ინტერნაციონალიზმისა და მასსონობის მტრებს. „აღორძინების გზაზე შემდგარი უნგრეთი“ სასტიკათ გაჰკიცხავს ყველას, ვინც რაიმე დახმარებას გაუწევს არა ქრისტიანულ გამოცემებს. გადასწყდა დაარსონ „მოწაფეთა ლეგიონები“.

ს ე რ ბ ი ა.

არჩევნების შედეგი. უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნების შედეგები ასეთია: გავიდა 48 დეპუტატი დემოკრატიულ პარტიიდან, 28 რადიკალი, 12 კომუნისტი, 10 დეპუტატი რადიკალებისა და დემოკრატების ბლოკიდან, 3 უპარტიო, აგრარულ პარტიიდან და 1 ლიბერალი.

შრომის სამინისტროში

შრომის სამინისტრომ შეიმუშავა თფილისის მუშათა და მოსამსახურეთა დაჯილდოვების პროექტი. განზრახულია ეს პროექტი გაატარონ სასწრაფო წესით. მას მხოლოდ განიხილავს პროფ. კავშირები და განსაკუთრებული თათბირი, რომელშიაც შევლენ უწყებათა წარმომადგენლები და სპეციალისტი ტეხნიკები.

— შრომის სამინისტრომ ქალაქთა კავშირს მიმართა შემდეგი განცხადებით: 1) თქვენ მიერ მუშათა მაგიდისათვის გადასაცემათ განზრახული 3000 საჟენი შეშა არ შეიძლება ვინმეს მიეცეს, ვინაიდან ეს შეშა დანიშნულია თფილისის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის გასანაწილებლად. 2) ქალაქების მიერ შეშის მოთხოვნა და მათი დაკმაყოფილება მანამ არ უნდა მოხდეს, სანამ ჩვენ მიერ შემოკვეთილი 3000 საჟენი შეშა არ იქმნება დამზადებული. 3) სამინისტროს აზრით ძველათ შემოკვეთილი უნდა შემცირდეს და მოთხოვნილებანი ნაწილობრივად უნდა იქნას დაკმაყოფილებული. გარდა ამისა სამინისტროს ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებას: კერძო პირები დაწესებულებები ხშირად მომართავენ სამინისტროს განცხადებით, რომ ქალაქთა კავშირს შეშის მიცემაზე საწინააღმდეგო არაფერი აქვს, თუ შრომის სამინისტროსაგან სათანადო ნებართვა იქნებაო. გამოდის, რომ ქალაქთა კავშირს საკმაო შეშა აქვს, რომლის გაყიდვის ნებასაც, რაღაც მიზეზებით შრომის სამინისტრო არ იძლევა. ამის გარდა შრომის სამინისტრო სთხოვს ქალაქთა კავშირს განუმარტოს ყველას, რომ მუშათა მაგიდიდან შემოკვეთილ შეშის გამო მას არა აქვს იმდენი შეშა, რომ დააკმაყოფილოს ახალი შემოკვეთა.

— შრომის სამინისტრო შეეკითხა სამხედრო სამინისტროს, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება დასახიჩრებულ მეომართა ნივთიერად უზრუნველყოფის საკითხი. (სეს)

1900 წ. დაბადებული ახალგაზდა მოქ. სამხ. ბეგრის მოსახდელ გაწვევაზე.

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1900 წელში დაბადებულ ახალგაზრდა პირთა ჯარში გამწვევი და მიმღები კომისია მიმდინარე წელს შეუდგება თავის მოქმედებას ქ. თფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოსთან განსაკუთრებულ შენობაში (ვაგზლის ქ. სახლი თამამშევისა) ქვემო აღნიშნულ დღეებში, დილის 9 საათიდან.

15 და 16 ნოემბერს, ორშაბათს და სამშაბათს, იმ პირთა ჯარში გასაწვევად, ვინც არიან შეტანილნი 1, 2 და 3 კომისარიატების გამწვევ სიებში.

17 და 18 ნოემბერს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს, იმ პირთა,—ვინც არიან შეტანილნი მე 4, 5, 6 და 7 კომისარიატების გამწვევ სიებში.

19 და 20 ნოემბერს, პარასკევს და შაბათს, იმ პირთა,—ვინც არიან შეტანილნი მე 8, 9 და 10 კომისარიატების სიებში.

21 და 22 ნოემბერს, კვირას და ორშაბათს, იმ პირთა,—ვინც არიან შეტანილნი მე 11, 12 და 13 კომისარიატების სიებში.

23 და 24 ნოემბერს, სამშაბათს და ოთხშაბათს, იმ პირთა ჯარში გასაწვევად, რომლებიც არიან დაბადებულნი 1899 წ. და წარსულ 1919 წ. ქ. თბილისის მიმღებ კომისიის მიერ გადადებული ჯარში მიღება-ვადა ერთის წლით, როგორც საშუალო სასწავლებლების მოწაფეთ ან ჯანმრთელობის სისუსტისა გამო.

25 და 26 ნოემბერს, ხუთშაბათს და პარასკევს, იმ ადგილობრივ მცხოვრებ ახალგაზდა პირთა,—რომლებიც არიან დაბადებულნი 1900 წ. და რაიმე მიზეზისა გამო არ არიან ჯერ შეტანილნი გამწვევ სიებში და აგრეთვე ქ. თბილისში იმ დროებით მცხოვრებ პირთა, რომლებიც თუმცა არიან შეტანილნი სხვა მაზრების გამწვევ სიებში, მაგრამ მათ, თანახმად გენერალურ შტაბის განკარგულებისა (იხილე გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ა/წ. 21 ოქტომბრის № 238) არა უგვიანეს ა/წ. 1-ლ ნოემბრამდე თბილისის სამხედრო ნაწილის განყოფილებაში წერილობით განაცხადეს თავისი სურვილი თბილისის მიმღებ კომისიაში გამოცხადებისა და ამ ვადაზედ წარადგინეს: 1) ამონაწერი თავის თავზე გამწვევ სიიდან და 2) პირადობის მოწმობა სურათით.

მიმდინარე წელს ჯარში გაწვევის დროს მოქალაქეთ უნდა მიიღონ მხედველობაში:

1. ყოველივე გაწვეული ახალგაზრდა მოვალეა თავის საცხოვრებელ ადგილის მიხედვით, გამოცხადდეს მიმღებ კომისიაში დანიშნულ ვადაზე და თან იქონიოს გასაწვევი უწყება, მიღებულ სათანადო კომისარიატიდან.

2) საშუალო სკოლის მოწაფენი, რომლებიც წარმოადგენენ სათანადო მოწმობებს, სასწავლებლების უფროსებისაგან, სამხედრო ბეგრის მოხდის ვადა გადადებათ 21 წლის შესრულებამდე.

შენიშვნა: უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტებს, არა აქვთ უფლება ჯარში გაწვევის ვადის გადიდებისა და ამიტომ ვალდებულნი არიან გამოცხადდენ მიმღებ კომისიაში.

3. **არავითარი სამსახური,** არც კერძო, არც საზოგადო, არც მთავრობის დაწესებულებებში (გარდა სამხედრო სამსახურისა) არც სახალხო გვარდიაში და არც მილიციაში არ ათავისუფლებს მოქალაქეთ ჯარში გაწვევისაგან.

4. თანახმად დამფ. კრების მიერ 1919 წ. 2 აგვისტოს მიღებულ დეკრეტისა, შესახებ სამხედრო ბეგრის აუსრულებლობის და ამ დანაშაულის დაფარვის და წაქეზებისა, თუნდაც წამქეზებელი და დამხმარე მშობელი ან სხვა მახლობელი ნათესავი იქნეს, დამნაშავე დაისჯება იმ წესით, რომელიც აღნიშნულია ბოროტმოქმედებაში მონაწილეობისათვის სისხლის სამართლის და გამასწორებელ სასჯელთა დებულების მე-120, 121 და 124 მუხლებში.

თბილისის ქალაქის გამგეობა.

სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილების სასამართლოს სხდომაზე 1920 წლ. 10 ნოემბერს დანიშნულია განსახილველათ შემოსული საქმეები:

1) საჩივარი ნაფ. ვექ. გარეგინ ევანგულოვისა შინაგან საქმეთა სამინისტროს რწმუნებულის მახარაძის უკანონო მოქმედების შესახებ—მასი ბინაში არაბიძის ჩასახლების გამო. 2) საჩივარი იტალიის სახელმწიფო ქვეშევრდომის რობერტო ფრასკოლის ვექილის ანდრ. ხუჭოლავასი ფინანსთა მინისტრის დადგენილების შესახებ ფრასკოლას მიერ საბაჟოს მიცემის დარღვევის გამო. 3) საჩივარი მიხეილ პაპიაშვილის ვექილის საბახტარაშვილისა ფინანსთა მინისტრის დადგენილებაზე 1920 წლ. 15 აპრილის 92 ნაჭერ იმერულ შალის ჩამორთმევის შესახებ. 4) საჩივარი ეფიმ არუთინ ტერ პოგოსიანცის რწმუნებულის ნაფ. ვექ. ალექსიშვილისა ფინანსთა მინისტრის დადგენილებაზე ოქროს ნივთებს ჩამორთმევის შესახებ. 5. საჩივარი ქალაქ თფილისის გამგეობის რწმუნებულის ნაფ. ვექ. კახიანისა თფილისის ოლქის სასამართლოს საადმინ. გან. 1920 წ. 20 ივნისის გადაწყვეტილებაზე აკაკი ოდიშარიას მიერ სასტუმრო „ვოსტოკის“ დაცლის შესახებ. 6. საჩივარი სავაჭრო სახლის ფრიდონოვის და კომპ. რწმუნებულის ნაფ. ვექ. იოანისიანისა ქალაქ თფილისის გამგეობის განკარგულებაზე ბინის რეკვიზიციის შესახებ.

7. საჩივარი ივანე ნიჟარაძე გალსჯიანისა თფილისის ქალაქის გამგეობის დადგენილებაზე მის მაღაზიის სხვა ალაგას გადატანის შესახებ.

მოწოდება

საქართველოს რესპუბლიკის სამაზრო და სათემო ერობების გამგეობებს.

მიწად მოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილება ასახლებს უმამულო და მცირე მიწა-წყლის მქონე მოქალაქეთ ყარაიაზის ველზედ და ახალქალაქის მაზრაში. ამ მიზნისთვის განყოფილების განკარგულებაში იმყოფება ყარაიაზში 2 000 დესიატინამდე საუკეთესო ნიადაგის სარწყავი მიწები და ახალქალაქის მაზრაში 20 000 დესიატინამდე ურწყავი, მაგრამ ნოყიერი მიწები. უკანასკნელი რაიონი გამოჩენილია როგორც ძველი მდიდარი ხორბლეულობის მოსავლით და საძოვრებით, აგრეთვე საუცხოვო ჯანსაღი ჰავით და სასმელი წყლებით და უვარგისია დასახლებლად უმთავრესად მთლიანი ადგილების მცხოვრებთათვის, რომლებიც მისდევენ ხორბლეულობის და მესაქონლეობის კულტურას, როგორც არიან: რაჭველები, ლეჩხუმლები, ზემო-იმერლები, ზემო-ქართლელები, მოხევეები, მთიულები, თუშები და ფშაველები, ხოლო ყარაიაზის ველი გამოსადეგია დასასახლებლად უმთავრესად გურიის, სამეგრელოს, ქვემო-იმერეთის და სხ. დაბლობი ადგილების მცხოვრებთათვის, რომლებიც შეჩვეული არიან ცხელ ჰავას და მალიარიან ადგილებში ცხოვრებას. ამ რაიონის გასაჯანსაღებლად მიღებულია ზომები: გაგზავნილია ამ ჟამად ექიმთა და სხვა სპეციალისტთა ექსპედიცია, რომელიც ერთი მხრით საფუძვლიანად წამლობს მალიარიიდან დაავადებულებს, რომ ამგვარად სრულიად მოისპოს ეს სენი ყარაიაში მცხოვრებთა აგებულებაში, მეორე მხრით იკვლევს მალიარიის გამავრცელებელ კოღოების ბუდე—ჭაობებს და იმუშავებს პროექტს ამ ჭაობების დაშრობისას, რომ ამგვარად ძირ-ბუდიანად მოისპოს ციებ-ცხელების გავრცელების შესაძლებლობა, როგორც ეს უკვე მოხდენილია იტალიაში, საფრანგეთში და სხვა განათლებულ ქვეყნებში.

თითოეულ გადასახლებულ ოჯახს განყოფილება აძლევს ყარაიაზში 5 დეს. მიწას, ხოლო ახალქალაქის მაზრაში 8—10 დეს., რომელსაც შეისყიდის გადასახლებულს ხუთი წლის შემდეგ შეღავათიან ფასში, უკანასკნელის 10 წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ გადახდით. როგორც ყარაიაზში, აგრეთვე ახალქალაქის მაზრაში, განყოფილება უწევს გადასახლებულებს დახმარებას ადგილზე მათი ბარგით და საქონლით რკინის გზით გადაყვანით, სათესლე ხორბლით, სამეურნეო იარაღებით, მუშა-საქონლით, შენობების ასაგები მასალით და სხ. ყოველივე ეს გადასახლებულებს ეძლევათ უპროცენტო სესხად, რომელიც გადახდილ უნდა იქნას გადასახლებულისაგან დასახლებიდან 5 წლის შემდეგ ნაწილ-ნაწილ 10 წლის განმავლობაში.

ახალ ადგილზე დასახლებულთ უფლება აქვთ ორი წლის განმავლობაში დღიდან დასახლებისა გადასცენ სხვას ან გაჰყიდონ თავიანთი უძრავი ქონება ძველ ბინადრობაზე, მხოლოდ ადგილობრივი სათემო ერობის ნებართვით.

გაუწყებთ რა ამას, განყოფილება გთხოვთ გამოუცხადოთ ზემოხსენებული თქვენი მაზრის და თემის უმამულო და მცირე მამულის პატრონთ. გადასახლების მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მიწადმოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილებას ცალ ცალკე ან ჯგუფებათ პირადათ ან რწმუნებულის საშუალებით და სათემო ერობისაგან შემოწმებული ცნობებით ბლანკზე, რომელიც ამასთანავე გეგზავნებათ. განყოფილება დაუყონებლივ გააგზავნის მათ ადგილზე, სადაც ყოველგვარ დახმარებას გაუწევს განყოფილების რწმუნებული.

მიწად-მოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილება.

პურის ღირსების გაუმჯობესებისთვის

პურის ღირსება, რომ გაუმჯობესდეს საჭიროა ვიცოდეთ, თუ რამ გამოიწვია ამ ღირსების დაცემა, რომ მიღებულმა ზომებმა შესაფერი ნაყოფი გამოიღოს.

თვითმართველობის სასურსათო განყოფილება, რომელიც პირდაპირი პასუხისმგებელია ამ საქმეში, ყოველივე საშუალებას ხმარობს აწიოს პურის ღირსება, მაგრამ მან ნამდვილ მიზეზს პურის ღირსების დაცემისას ვერ მიაგნო და ამიტომაა, რომ პურის დამზადების საქმე სათანადოთ ვერ მოეწყო.

ამ გარემოებამ პურის ცხობის საქმეში გამოიწვია მუშათა ორგანიზაციების და სხვა დაწესებულებათა ჩარევა, ინიშნება რევიზიები, კონტროლები, ემატება წარმოების ახალი ხარჯები, მაგრამ პურის ღირსება კვლავ ისეთივე რჩება, რევიზიას და კონტროლების დანიშვნას დიდი მნიშვნელობა აქვს ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, როგორიცაა ხორბლის დატკეცილის ფალსიფიკაცია და სხვა, მაგრამ რაც შეეხება სისტემატიურ მიზეზს პურის ღირსების დაცემისას, ეს უნდა ვეძიოთ დამუშავების დროს თვით პურის მცხობელ მუშებში.

არც ერთი სხვა ხელობა არ მოითხოვს ისეთ ხანგრძლივ გამოცდილებას, დაკვირვებას და შრომის ინტენსივობას, როგორც ამას მოითხოვს პურის კარგი ღირსების დამზადება, და სწორეთ ასეთი კადრი სპეციალისტი მუშებისა აკლია ზემოხსენებულ პურის საცხობებს. და ეს იმიტომ რომ იმ თავიდანვე ამ გარემოებას არ ქონდა მიქცეული ჯეროვანი ყურადღება.

პირველათ, როდესაც იაფ ფასიან პურის ცხობას ქალაქთა კავშირი აწარმოებდა ვ. შარაშენიძემ განსაკუთრებულ პირობებში მოიწვია სხვადასხვა ადგილებიდან პურის ცხობის საქმეში გამოცდილნი სპეციალისტები, თვითეული მათგანი ცალ-ცალკე განაწილებულ იქნა პურის მცხობელთა ჯგუფებში, რომლებიც კარგი ღირსების პურის დამზადებისთვის ღებულობდნენ ზედმეტ ჯილდოს, მაგრამ ამ ღირსების დაცემისთვის კი პასუხს აგებდნენ.

ასეთ კადრს პასუხისმგებელ სპეციალისტებს ხელს უწყობდა ყველა მუშები და ამიტომ ცუდი ღირსების პურის გამოცხობაც იშვიათი მოვლენა იყო.

მაგრამ პურის ცხობის საქმე, რომ სასურსათო განყოფილებას გადაეცა, ასეთ ზომებს ალაგი არ ქონია, პირიქით, სასურსათო განყოფილებამ ზოგიერთი აგენტების რჩევით მუშებს შეუდავა იმ უფლებებზედ, რომელიც მათ ქალაქთა კავშირთან ქონდათ.

ამ მავნებელმა წარმოების საზარალო უაზრო დავამ, და მუშების გამოურკვეველმა მდგომარეობამ განსაკუთრებით სპეციალისტი მუშები ჩამოაშორა პურის ცხობის საქმეს, ამავე დროს კი პურის რაციონის გადიდების გამო საჭირო შეიქნა წარმოების გაფართოება, რაც საჭიროებდა მუშა ხელის გამრავლებას, მაგრამ ახალი მუშების მიღების დროს სპეციალურ გამოცდას მუშებისას ალაგი არ ქონია.

ამნაირათ, ერთი რომ დახელოვნებულმა მუშებმა პურის ცხობის საქმეში, პურის საცხობი დასტოვეს, და მეორე ამ საქმის ნაკლებით მცოდნეთ საშუალება მიეცათ სამუშაო ეშოვათ. ამ დღიდან იწყება სისტემატიურათ პურის ღირსების დაცემა.

ამიტომ ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, აუცილებლად უნდა შესდგეს თვით მუშებისაგან ჯგუფი პურის ღირსებისთვის პასუხისმგებელი სპეციალისტებისა, მაგრამ მათი პირობები უნდა განსხვავდებოდეს სხვა ამ საქმეში ნაკლებათ დახელოვნებული მომუშავეთა ოჯებისაგან ისე, როგორც მათი მოვალეობანი. ამნაირი ზომების მიღება იქნება ნამდვილი გარანტია პურის ღირსების გაუმჯობესებისათვის.

ქ. კაკურია.

ისევ ქიათურის შავ-ქვაზე

(პასუხად Tertius-ს)

ქიათურის ზოგმა მრეწველებმა დრო იხელთეს, ჩამოსაზიდ მარგანეცში უბრალო მიწა და ტალახის გარევა დაიწყეს და ამით ქვეყნის ინტერესებს სთელავდნენ. ამას წინ აღუდგა ქიათურის მუშათა კავშირების საბჭო ჩემი მონაწილეობით და ასეთი მრეწველები ალაგმა. ეს არ მოსწონებია ბ. ტერციუსს და ლექციას მიკითხავს „სახ. საქმის“ 962 ნომერში.

როგორც უმაღლესად განათლებულ კაცს შეჰფერის, ლექტორი ზევიდან ქვევით იცქირება ამაყად და თავშივე აცხადებს, რომ პური მეპურეს უნდა გამოაცხობინოო. ე. ი. ქვის ღირსების გამოკვლევა ქიმიკოსების საქმეა, კრიზისების მიზეზები და საერთოდ ქიათურის მრეწველობა მარტო ჩვენ გვესმის, ვინც ქიათურის სადგურს გავშორდითო და სხვ.

გავარჩიოთ მისი განცხადებანი.

ბ. ტერციუსი აცხადებს, რომ დასახელებულ წლებში ქიათურის მრეწველობის დაცემის მიზეზი საერთაშორისო კრიზისი იყო და ყალბი ქვის გზავნა აქ არაფერ შუაში იყოვო. მაგრამ მას რომ ბოლომდე ესარგებლა თუნდაც რუსთაველის პროსპექტზე მისსავე დაწესებულებაში დაწყობილი სტატისტიკით, იქ დაინახავდა, რომ ჩემ მიერ დასახელებულ წლებში ქიათურის მონაწილეობა შავქვის საერთაშორისო ბაზარზე კლებულობს არა მარტო აბსოლიუტურათ არამედ პროპორციონალურადაც. ასე მაგ., 1902 წ. საერთო მოთხოვნილებიდან ბაზარმა ქიათურიდან იყიდა 44,28%; 1903 წ. 44,76%; 1904 წ.—46,88%; ხოლო 1907 წელში 29,26 პროცენტი და 1908 წ.—32,93%. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. თავი—და თავი ისაა, რომ ეს რაოდენობაც ქიათურამ გაყიდა მხოლოდ იმიტომ, რომ იმ დროს ქიათურაში არსებობდენ ისეთი ევროპიელი ფირმები, რომლებსაც პირდაპირი კავშირი და მონაწილეობა აქვთ მომხმარებელ ქარხნებთან ევროპაში, როგორც, მაგალითად გელზენკერხის საზოგადოება, ფორვუდი და სხვები, რომლებიც არ არიან დაინტერესებული ყალბი ქვის გაგზავნით და არც მაშინ დაკარგვიათ ნდობა.

ბ. ტერციუსმა უნდა იცოდეს შემთხვევა, როცა ქიათურის მარგანეცით დატვირთული გემი ევროპის ერთი ფირმიდან გაწინდვის შემდეგ უკან გამობრუნეს. მყიდველმა აღარ მიიღო: მაგის დადნობის ხარჯებათ არა ღირსო. სწორეთ ამის შემდეგ იყო, რომ ევროპის გაზეთები მყიდველებს აფრთხილებდნენ ქიათურის მარგანეცის ყიდვისაგან, სწორეთ ამის შემდეგ შეწყდა ყიდვა ზემო დასახელებულ ფირმების გარდა ყველა სხვებისაგან. მაშინ ასეთი ამბავიც კი მოხდა ქიათურაში: ყალბი ქვის მგზავნმა ექსპორტიორებმა ჩუმათ კაცი მიუგზავნეს ქიათურის მუშათა ორგანიზაციას და სთხოვდნენ გამოეცხადებინათ დამტვირთავ მუშების გაფიცვა, რის გამო ისინი (გარდა იმისა რომ თვით ორგანიზაციას აძლევენ კარგა მოზრდილი თანხა) ვალდებული ხდებოდნენ ეძლიათ ჩუმათ მუშებისთვის ტყუილა ყოფაში ერთი ორად ქირა. ამით უნდოდათ ხელი შეეშალათ ზემოხსენებულ ფირმებისათვის გემების დატვირთვაში (მათ ჩამოყვანებული უდგათ ბათუმის და ფოთის ნავთსადგურებში 10 მდე დიდი გემები), რომ ვერ შეესრულებიათ მომხმარებელთან დადებული პირობები და ეს უკანასკნელნი იძულებული გამხდარიყვენ მათი ქვა ეყიდნათ (რასაკვირველია ნაკლებათ ფიქრობდენ იმაზე, რომ მომხმარებელს შეეძლო ეს გემებიც ბრაზილიაში და ინდოეთში გაეგზავნა.)

ასე იყო 1907 წ., ხოლო 1909 წ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ნიკოლოზის მთავრობაც იძულებული იყო ჩარეოდა: ბოქაულ ორდინელს ებრძანა არ დაეშვა ტალახის ზიდვა.

ბ. ტერტიუს ძალიან უკვირს: მრეწველი პასუხისმგებელია მომხმარებელთან გარიგებული პროცენტით ჩაბარონს ქვა, და თუ დააკლდა დააკლებენ ფულსაო. მრეწველის ჯიბე უკეთესი კონტროლი არაა თქვენ კომისიაზეო. მაგრამ ჯერ კიდევ მაშინ, როცა თქვენ უნივერსიტეტში სწავლობდით, ბ. ტერტიუს, ქიათურის ექსპორტიორები განიყოფებოდნენ ორ ჯგუფათ. ერთი ჯგუფია დიდი კაპიტალისტები, რომლებსაც ქიათურაში წარმოებაც აქვს და ქვასაც თითონ აზიდავენ მომხმარებელ ქარხნებს. მეორე ჯგუფი უფულო და არც საკუთარი წარმოება აქვსთ. ესენი ქიათურის სადგურზე ფულობით ყიდულობენ ქვას კიდევ უფრო ღარიბ წვრილ მწარმოებლებიდან და ყიდულობენ ამა თუ იმ ბანკის ფულით. ქვა იწერება ბანკის სახელზე და ბოლო კვირა ბანკი იხდის ფუთზე იმდენს, რამდენიც მაზანდაა. ქვას შემდეგში ყიდის და გააქვს თითონ ბანკს, რომელშიც რეალიზაციის შემდეგ იღებს გაცემულ სესხს სარგებლით, იღებს საკომისიოს და რაც დარჩება ის უნდა მიეცეს კლიენტს. ამ ოპერაციაზე კარგა დრო უნდა, ხოლო ასეთ „ექსპორტიორებს“ კარგათ შეუგნიათ, რომ დღევანდელი კვერცხი სჯობია ხვალინდელ ქათამს და შედის ჩუმ შეთანხმებებში ქვის მომტან წვრილ მწარმოებლებთან: ურიგდება მაზანდაზე ნაკლებს და ნებას აძლევს რაც უნდა მოიტანოს, სასყიდლით განსხვავებას იღებს

ჯიბეში და თუ ქვა მოგების მაგიერ ზარალს ნახავს მას რა ენაღვლება, იკითხოს ბანკმა.

წინათ ასეთ მრეწველების ჯგუფს უმთავრესათ ბერძნები შეადგენდენ, ამ ბოლო დროს მათში ჩაერიენ ქართველი ელემენტებიც. მაგალითად, ის საცწორი და ბაჭანი, რომელიც ჩვენი კომისიის წყალობით დაიხურა, ასეთ ფუკუსს წარმოადგენდა (ქვას ყიდულობდა ბუაჩიძე და სხვა მრეწველები, ხოლო ფულს იხდიდა რომელიღაც ბანკი) და იზრდებოდა არა მარტო დაბალ ღირსების მადანი, არამედ გზაში მოხვეტილი ცალი მიწაც, შავი ქვის წვენით გაშავებული.

მართალია, საზ. „ჩემო“ს და აგრეთვე აქციონერულ საზ. დაარსებით და კიდევ უფრო მადნების ნაციონალიზაციის ცხოვრებაში გატარებით ასეთი მოვლენა სუსტდება და ბოლოს სულ მოისპობა, ვინაიდან მოისპობა უკაპიტალო მწარმოებლები (მათ მადნებს იჯარით არ მისცემენ) და უკაპიტალო ექსპორტიორებიც (მწარმოებლები თვით გაიტანებენ „ჩემოს“ საშუალებით). მაგრამ ჯერ ჯერობით ამ მოვლენისათვის ნიადაგი კიდევაა და ჩვენც მას ვუწევთ ანგარიშს.

კიდევ უფრო უკვირს ბ. ტერციუსს ის გარემოება, რომ ჩვენ ცეხების და მეურმეების კანტროლს ვსაჭიროებთ მაშინ, როცა „ჩემო“ს თავისი ქიმიკოსები ყავს და ზოგ მრეწველებს საკუთარი ლაბორატორიაც კი აქვთ და ანალიზით ამოწმებენ ქვის ღირსებას. ალბათ ბ. ტერციუსს უნივერსიტეტმა ან ივანოვის ქუჩამ შეუშალა ხელი გაეგო, რომ ჭიათურელმა მახინატორებმა მთელი, სამი წლისწადი ატყუილის დიპლომიანი ქიმიკოსი ცოცხოურში, (დარკვეთიდან 4 ვერსზე რაჭისკენ), სადაც არა მარტო მიყიდეს 52 პროცენტიან მადნებათ შავი მწვირიანი ადგილები ასობით ქვევა, არამედ ამუშავეს სამი წლისწადი, სანამ მთელი ფული არ მიიღეს. შეცდომაში შეყვანილმა ფირმამ, ქიმიკოსების თანხლებით, გააკეთეს რა ხსენებულ ადგილში გზები და ააშენეს სასახლეები, დაატრეს შეგები და გამოიღეს ასამდე კუბიკური საჟენი ქვა და მხოლოდ შემდეგ გაიგეს, რომ ისინი მარგანეცათ ამზადებდენ უბრალო შავ ქვას, ხოლო ანალიზს უკეთებდენ სოფ. მღვიმევის პირველი ხარისხის შავ ქვას, რასაც მახინატორები, წინასწარ მომარაგებულს უცვლიდენ ხ[illegible] ღებულ ნამუშში. კიდევ უფრო ადვილათ ატყუებენ საწყობებზე ნამუშის აღების დროს, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ქიმიკოსი ხომ საწყობზე არ უცდის დილიდან საღამომდე და ყველა ურემს ხომ არ უცქერის ისეთი ქვა მოაქვს თუ არა, როგორიც მან ანალიზისთვინ წაიღო ნიმუშათ. რა პასუხისმგებელია ის თუ მას ერთი ქვა აჩვენეს მადნებში მაგრამ მერე გზაში გადურიეს უბრალო მიწა და ისე ეზიდებიან.

ყველა ამ ფაქტებს, ბ. ტერციუსს, რომ მოენდომებია, გაიგებდა თითოეული მუშისა და მეურმისაგან ჭიათურაში ტყუილ-უბრალოთ არ შეაწუხებდა არც პატივცემულ მეპურეს და არც ინგლისის მეცნიერს ბოკლს.

ძლიერ ბევრს ლაპარაკობს ბ. ტერციუსი მომჭირნეობაზე. იმაზე, რომ ჭიათურის სიმდიდრე არ უნდა გავანიავოთ ბარბაროსული მუშაობით, რომ თითოეული ნამცეცი მადნისა არ უნდა დავკარგოთ და მოგვითხრობს, რომ წინანდელ გადაყრილ ნარჩევ-ნაცხრილში დღეს სარეცხების საშუალებით 70 პროცენტიან ქვას ამზადებენო, მაგრამ ეს ხომ ღია კარებზე ბრახუნია? ვინაა იმის წინააღმდეგი, რომ ქვანარევი მიწა გარეცხონ და სიმდიდრე გამოიყენონ? ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ნარჩევი და ნაცხრილის გაურეცხლათ წაღება არ შეიძლება-თქო. კიდევ უფრო ვეწინააღმდეგებით იმას, როცა შავქვაში განგებ ურევენ გზაში ახვეტილ ტალახს, წყლის სილას და ცალს, შავიწვენით შეღებილს. ჩვენი ერის ინტერესი მოითხოვს მეტი შავიქვა დაურჩესო, მაგრამ ამისთვის განა რიყის ქვა უნდა შეღებო და გადურიო? მაშინ რაღათ ვსჯიდით მეწისქვილეებს, რომლებმაც ხორბალში სილა გაურიეს: ხორბალიც რომ ბევრი გვქონდეს ხომ კარგია?

ერთს ჭკუასთან ახლოს ამბობს ბ. ტერციუსი: რაც ჭიათურაში ყალბი ქვა არის, ჯობია მისი პირველი ხარისხის ქვით გამდიდრება და ისე გაგზავნა, ვინაიდან იმის ნარჩევს და ნაცხრილს ვეღარ გავრეცხავთ (სარეცხები მთებშია და უკან ვეღარ ავიტანთ) და მასში გაურეული მადანი უამისოთ დაგვეკარგება. მაგრამ ეს იქნებოდა გლახა მაგალითი და ხელს შეგვიშლიდა ამიერიდან მაინც მოგვესპო მიწის მოზიდვა, ვინაიდან ეს გაათამამებდა მახინატორებს: იფიქრებდენ, რასაც საწყობზე მიზიდავს მოვასწრებთ, მოვასწრებთ, შევურჩება, უკან ვეღარ დაგვაბრუნებენო. გარდა ამისა ჩვენ არ უნდა ვცდილობდეთ მაინც და მაინც 40 პროცენტიანით ვაგზავნოთ ჩვენი მარგანეცი. რამდენადაც ვიცი 48 პროცენტი არ ითვლება კარგ ხარისხათ. ამას მაფიქრებინებს ზოგი პირობები, მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის დადებული. ასე მაგალითად, თუ მიღების დროს გაშინჯვამ დაამტკიცა, რომ მარგანეცი გარიგებულ 48 პროცენტზე მეტია ღირსებით, ვსთქვათ 49, მაშინ მყიდველი იხდის გარიგებულ ფასზე $^{1}/_{18}$ ნაწილის ზედნადებით, თუ 50 პროცენტია, მაშინ $^{2}/_{18}$ უმატებს გარიგებაზე, მაგრამ თუ 48 პროცენტის მაგიერ 47 გამოვიდა, აკლებს არა $^{1}/_{18}$ ნაწილს გარიგებულ ფასისას, არამედ $^{2}/_{18}$, ხოლო 46 თუ იქნა, მაშინ $^{4}/_{18}$ ნაწილს აკლებს. 46 პროცენტიანებზე ნაკლებს კი სულ აღარ იღებენ გადნობის ხარჯებს ვერ აანაზღაურებსო. აქედან გამოდის, რომ 48 პროცენტი მინიმუმია.

მართალია, პროქსიდი ჩვენ ქვაში იმდენი გამოდის, რომ ის ჭარბობს საერთაშორისო ბაზრის ხარჯს; გვეყოფა გადასარევათ 56 პროცენტიანი ქვაც მაგრამ ეს შეუძლია მდარე ხარისხის ქვაში გაურიოთ და საერთოთ ვაგზავნოთ არა ნაკლებ 50, 51 პროცენტიანი ქვისა. ვიმეორებ ყველაფერი ეს მოეწყობა თავისით, როგორც კი გამართდება ადგილობრივათ „ჩემო“ და აქციონერული საზოგადოება და როგორც კი გავა ცხოვრებაში მადნების ნაციონალიზაცია. მანამდე კი განსაკუთრებული საკანტროლო კომისია აუცილებელია და ეს სულ ც არ სწყინთ ნამდვილ მრეწველებს. პირი მხოლოდ ამათ ეწვის, ვისაც პიმპილი უჭამია.

შ. გურული.

პროფესიონალურ კავშირებში

პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატში

4 ნოემბერს შესდგა პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატის მორიგი სხდომა, სადაც დადგენილ იქნა: დამტკიცებულ იქნას სეკრეტარიატის პრეზიდიუმის მიერ შემუშავებული მუშა-კონტროლიორთა სია და წარედგინოს იგი შრომის სამინისტროს. მიღებულ იქნას ცნობათ მოხსენება სეკრეტარიატში ანგარიშების წარმოების შესახებ. გამოცხადდეს პრესაში მუშათა სასახლესთან არსებულ ბუფეტის იჯარით გაცემის შესახებ. ამასთანავე მიღებულ იქნა, რომ იჯარის დროს უპირატესობა მიეცემა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. საბინაო კომიტეტში სეკრეტარიატის წარმომადგენლათ დროებით დაინიშნოს ამხ. ჩხარტიშვილი.

ს.-დ. პარტიაში

თფილისის მაზრის ს. დ. მ. პ. სამაზრო კომიტეტის კრება.

(დასასრული)

კამათის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუციები და დადგენილებანი:

კარლ კაუცკის.

თფილისის მაზრის ს. დ. მ. პ. კომიტეტის კრება სალამს უძღვნის საერთაშორისო მუშათა კლასის მასწავლებელს და სოციალიზმის ბელადს მის ჩამოსვლის გამო, შორეულ ევროპიდან დემოკრატიულ საქართველოში.

სახალხო გვარდიის ყრილობას.

თფილისის სამაზრო კომიტეტი სალამს უძღვნის საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მეორე ყრილობას და უსურვებს სრულ გამარჯვებას დემოკრატიის მაჩნების მისაღწევ ბრძოლაში.

პარტიულ მუშაობის შესახებ. კრებამ მოისმინა რა მოხსენება კომიტეტის თავმჯდომარისა, კამათის შემდეგ მიიღო რა მხედველობაში, რომ მაზრაში ს.-დემ. მუშაობის გასაფართოვებლად, ორგანიზაციებში დემოკრატიის მოწინავე რაზმების კიდევ უფრო მტკიცეთ შესაკავშირებლად მიღებულ იქნას ენერგიული ზომები, ამუშავებული იქნას მოწინავე ძალები, და რომ მთავარი მიზანი განხორციელდეს, ამიტომ კრება პრეზიდიუმს ავალებს: 1) სისტემატიურათ მოეწყოს ზამთრის სეზონში პარტიული და მასიური კრებები პროპაგანდა-აგიტაციისათვის, 2) გავრცელებულ იქნას პოპულიარული ლიტერატურა, 3) ჩამორჩენილ სოფლებში მიექცეს კულტურულ მუშაობას სათანადო ყურადღება, 4) დაინაწილონ პრეზიდიუმის წევრებმა რაიონები და ხელმძღვანელობა გაუწიონ 5) მოხდეს იქ, სადაც საჭიროა, რეორგანიზაცია, პარტიის გადასახადისება და ახალი წევრების მიღება, 6) მიღებულ იქნას სამეცადინო წრეების დასაარსებლად ზომები, 7) ეცნობოს ცენტრალურ კომიტეტს, რომ გამოიგზავნოს მაზრაში დამფუძნებელი კრების წევრები თავიანთ მუშაობის მოქმედების გასაცნობათ და 8) დაევალოს პრეზიდიუმს მოიწვიოს პრეზიდიუმში კოოპტაციის საშუალებით ამხანაგები მუშაობის გასაფართოვებლათ.

საკანტროლო კომისიის მოხსენების გამო. კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. ი. რამიშვილისა დაადგინა, ეთხოვოს ამხანაგ ისიდორეს ჩამოიაროს მაზრა და ადგილობრივ გაეცნოს ორგანიზაციებს.

ცენტრალური კომიტეტის მოხსენების შესახებ, კრებამ მოისმინა, რა ა. სალუქვაძის მოხსენება ეკონომიურ თათბირის და მდგომარეობის შესახებ კომიტეტის კრება ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას სერიოზულათ სთვლის და თფილისის ხელმძღვანელ ორგანიზაციების თათბირის რეზოლიუციას ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ მიზან შეწონილათ.

ამიტომ კრება ავალებს პრეზიდიუმს, რომ მიღებული რეზოლიუცია ცხოვრებაში იქნას გატარებული, ამისთვის მიღებული უნდა იქნას ზომები და სოფლებში გაგზავნილი მომხსენებლები, რომ ხალხს გააცნონ და აუხსნან ქვეყნის მდგომარეობა და დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის მოუწოდონ.

გარეთ-კახეთში ახალგაზრდა მარქსისტთა წრის დაარსების გამო. სამაზრო კომიტეტი სიხარულით ეგებება გარეთ-კახეთში ახალგაზრდა მარქსისტთა წრეების დაარსებას და დაადგინა: ენერგიული ზომები იქნას მიღებული ამ ორგანიზაციების გასაფართოვებლად და მიეცეს მათ უფლება ცალიონ წარმომადგენელი კომიტეტში.

სამაზრო მილიციის შესახებ კრებამ დაადგინა: 1) მაზრაში მილიციის მოქმედების შესახებ ყველა ცნობები ამხანაგებმა უნდა მიაწოდონ მაზრის ერობის გამგეობას და თუ ის არ მიაქცევს ყურადღებას შემდეგ დაისვას კომიტეტში, 2) მიღებული იქნას მიზან შეწონილათ ამხ. ლ. ონიაშვილის განცხადება მილიციის გაჯანსაღებისათვის ერობის გამგეობის მუშაობა და დაევალოს ამხანაგებს მისთვის დახმარება და 3) აღებულ ს მილიციის უფროსის მოქმედების შესახებ ყველა მასალები გადაეცეს დანიშნულ რევიზიას და აგრეთვე ამ რევიზიაში დანიშნულ იქნას თემის წარმომადგენელი.

„ახალი სხივის“ შესახებ. „ახალი სხივის“ უკანასკნელი გამოსვლების კილო სრულიად აღარ განსხვავდება „საქართველოსაგან“. პარტიის მოძრაობისათვის „ახალი სხივის“ საქმიანობა მავნებელია და მისი მოქმედება მიზან შეუწონელი და მტრის დახმარება.

გარე უბნის თემის შესახებ მოისმინა რა კრებამ ონიაშვილის მოხსენება დაადგინა: 1) გარე-უბნის თემის გადაჯგუფებაში ორგანიზაციებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღონ, 2) მოეთხოვოს ამხ. ხართიშვილს განმარტება, რატომ არ აცნობა თემის კრებას კომიტეტის დადგენილება და 3) შეტანილი იქნას ოქმში ამხ. ტ. სალარაძის განცხადება, რომ ის ხელს შეუწყობს ერობის გადაწყვეტილების განხორციელებას.

საწევრო გადასახადი. საწევრო გადასახადი უნდა იქნეს გადიდებული, ღარიბების ორგანიზაციებს შემოიტანონ მეორე კრებამდე ხვედრი %.

კრების მდივანი **ან. გეგელაშვილი.**

მუშათა შორის

თფილისი. რკინის გზის ცენტრალურ კულტურულ განმანათლებელ კომისიამ 9 ოქტომბერს მოიწვია რაიონის კულტურულ-განმანათლებელ კომისიის კონფერენცია. კონფერენციაზე გამოცხადდენ წარმომადგენლები ბათომიდან, ფოთიდან, სამტრედიიდან, ქუთაისიდან, შორაპნიდან და ხაშურიდან. განსახილველი იყო საკითხი რკინის გზაზე კულტურულ მუშაობის გაფართოვების შესახებ. ადგილებიდან მოხსენების დროს გამოირკვა, რომ ზოგიერთ რაიონებში სუსტად არის დაყენებული კულტურული მუშაობა. ამის მთავარ მიზეზად დასახელებულ იქნა ის გარემოება, რომ შეგნებული ძალები ძლიერ გაურბიან კულტურულ საქმეს. მაგ., ფოთში და ქუთაისში წარმოდგენების სეზონი ჯერაც არ დაწყებულა ურთიერთობის გამო. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი სახელმძღვანელო რეზოლიუცია: „რაიონების პრეზიდიუმის წევრებისა და კულტურულ კომისიის წარმომადგენლების თათბირმა მოისმინა რა მოხსენებები ადგილებიდან, სადაც აშკარად ჩანს ზოგიერთ კომისიების საქმიანობაში ინდიფერენტიზმი, რამაც განიცადა კულტურული მუშაობა ხაზზე, აგრეთვე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ რაიონში პასუხისმგებელი აგენტები ვერ ეკიდებიან რა საკმაო ყურადღებით ინტელიგენტურ კულტურულ ძალებს, მოუწოდებს ყველა რაიონების გამგეობებს და კულტურულ კომისიებს გააცხოველონ მუშაობა და კულტურული საქმე შესაფერ სიმაღლეზე აიყვანონ, თათბირი წინადადებას აძლევს კომისიებს, რომ ადგილობრივ კულტურულ ძალებს ფრთხილად მოეპყრან, ყოველივე ზომები იქნას მიღებული კულტურული მუშაობის გასაფართოებლათ ამ ძალების გამოყენებისათვის. თავის მხრივ თათბირი სურვილს გამოსთქვამს, რომ ყველა კულტურული ძალა რკინის გზელებისა ყურად იღებს თათბირის მოწოდებას და თავისი აქტიური მონაწილეობით ხელს შეუწყობს ხაზზე კულტურულ მუშაობის დაგვირგვინებას. ამასთანავე თათბირს საჭიროთ მიაჩნია რაიონულმა გამგეობებმა და კულტურულმა კომისიებმა გააძლიერონ მეთვალყურეობა წიგნთ საცავ-სამკითხველოებზე, რომ სრულიად დაცული იქნეს ყველა ის წიგნი, რომელიც არსებობს ცენტრალურ კულტურულ კომისიის დადგენილების სახით.

გან-კანი.

პროვინცია

ოზურგეთი (გურია). ამ დღეებში მოხდა ქ. ოზურგეთში არსებულ მომხმარებელ საზოგადოებათა კრება. დაესწრენ წევრები ექვსი კოოპერატივისა. მათ შორის მეეტლეთა და მასწავლებელთა კავშირისა. კრებაზე მოხსენება გააკეთა დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობისა და კოოპერატივების მოვალეობათა შესახებ ცეკავშირის ინსტრუქტორმა ერქომაიშვილმა. გამოტანილი იქნა დადგენილება საპაიო გადასახადის 1.000 მან—მდე გადიდების შესახებ. კრებამ დაადგინა აგრეთვე, რომ თვითეულმა კოოპერატივმა შეიძინოს კოოპერატიული ბანკის აქციები, რაც შეიძლება მეტი, მაგრამ არა ნაკლები 15-სა.

განზრახული იყო კრებაზე დასმულიყო საკითხი ქ. ოზურგეთში არსებულ კოოპერატივების შეერთების შესახებ, მაგრამ რაღაც მოსაზრებით ეს საკითხი აღარ დაისვა. საჭირო კი იყო, რომ ეს საკითხი განხილულიყო და პრინციპიალურად მაინც გადაწყვეტილიყო დადებითად, რადგან დღევანდელ არა ნორმალურ ეკონომიურ პირობებში ერთ ქალაქში და ისიც ისეთ პატარაში, როგორიც ქ. ოზურგეთია, 7 მომხმარებელი კოოპერატივის არსებობა, სრულიად მიზან-შეუწონელია. მომხმარებლებისთვის საზარალო და თვით ამ კოოპერატივებისთვისაც დამღუპველია. ამიტომ აუცილებლად უნდა საჩქაროდ დაისვას შეერთების საკითხი თვითეულ ამ კოოპერატივის წევრთა საზოგადო კრებაზე და დადებითადაც გადაიჭრას.

— შაბათს, 16 ოქტომბერს შესდგა ქ. ოზურგეთის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება ბ-ნი გ. ბერეჟიანის თავმჯდომარეობით, რომელზედაც გამოცხადდა საკმაო რიცხვი მუშა-მოსამსახურეებისა სხვადასხვა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებისაგან: განსახილველი საგანი იყო საკითხი ოზურგეთში მუშათა კოოპერატივის დაარსების შესახებ. ამ საგანზე მოხსენება გააკეთა ცეკავშირის ინსტრუქტორმა ერქომაიშვილმა: გამოარკვია, რომ გურიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს გადაწყვეტილებით ოზურგეთში მუშათა კოოპერატივს ცალკე დააარსება. კრებაზე თავი იჩინა ორმა მიმდინარეობამ: ერთნი ამტკიცებდენ, რომ მუშათა კოოპერატივის ცალკე შექმნა ოზურგეთში ნაადრევია, ის ვერ იხეირებს, ამას არც ჩვენი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა მოითხოვს და ამიტომ შევეცადოთ სხვა მშრომელ ელემენტებთან თანამშრომლობით გავაძლიეროთ არსებული ქალაქის კოოპერატივი „ეკონომია“ და თანდათანობით გამოვიყენოთ ის თავის მიზნებისათვისო. მეორენი კატეგორიულათ მოითხოვდნენ დაქირავებულ მუშების გამიჯნულებას ცალკე კოოპერატივში, საბჭოს წევრებს შორისაც არ აღმოჩნდა თანხმობა ამ საკითხის შესახებ, ისინი სხვადასხვა აზრს იცავდენ. დიდი ხნის მსჯელობისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ბ. ს. ჭანტურიშვილმა, იმედაშვილმა, საბაშვილმა, პეიშვილმა, ბერეჟიანმა, კოპალეიშვილმა, მურვანიძემ და სხვებმა, ხმის უმრავლესობით მიღებულ იქნა წინადადება, რომელიც მუშათა კოოპერატივის დაარსებას თუმცა პრინციპიალურად საჭიროთ აღიარებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით მის ცალკე დაარსებას მიზან-შეუწონლათ სთვლის და ამიტომ საჭიროთ სცნობს ამ მიზნისათვის გამოყენებული არსებული ქალაქის კოოპერატივი „ეკონომია“, რისთვისაც კრება სავალდებულოთ უხდის ყველა მუშა-მოსამსახურეს ჩაეწერონ წევრათ ამ კოოპერატივში, რომ მოიპოვონ იქ გავლენა და თანდათან გამოიყენონ ის თავიანთი მიზნებისათვის.

— ამ დღეებში შესდგა ოზურგეთის დრამატიული საზოგადოების წლიური საზოგადო კრება ბ-ნი ს. ჭანტურიშვილის თავმჯდომარეობით. გამოირკვა, რომ საზოგადოებას გამგეობამ ბევრი არაფერი გაუკეთებია. გადაწყდა საწევრო გადასახადის 100 მ-მდე გადიდება. მოხდა არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა; გამგეობაში არჩეულნი იქნენ: ს. ჭანტურიშვილი, ს. დოლიძე, რ. ჩხაიძე, პელო საბაშვილისა, გ. სალუქვაძე, ვ. ჩიტაიშვილი და დ. ნიკოლაიშვილი.

სარევიზიო კომისიაში: გ. ბერეჟიანი, გ. მურვანიძე და ივ. უჯმაჯურიძე.

კრებამ სასურველათ იცნო რეჟისორისა და ერთი მსახიობ-ქალის მოწვევა; აგრეთვე აუცილებელ საჭიროთ იქნა ცნობილი თეატრის შეკეთება და გათბობა, რაზედაც ზრუნვა დაევალა გამგეობას. გამგეობამ უკვე მოიწვია რეჟისორათ მსახიობი ჟვეიძე, რომელიც შეუდგა მუშაობას.

— კვირას, 17 ოქტომბერს ნასაკირალზე ყაჩაღებმა თავს დაესხნენ ჩოხატაურიდან მომავალ საეროვო ეტლს და გაძარცვეს მგზავრები—დ. ჭანტურიშვილი, ი. მექვაბიშვილი და სხვები. წაიღეს რამოდენიმე ათასი მან., და ნივთები, ბევრს ტანზეც გახადეს. წაიღეს 90 ათას მანეთამდე საეროვო ფული. ამ ბოლო დროს ძარცვა-გლეჯა ხშირი მოვლენა შეიქნა გურიაში; ერობა ღებულობს სათანადო ზომებს მის აღმოსაფხვრელად.

— ამ დღეებში სანზარო მილიციამ დააპყრა კიდევ სამი ქართველი მეკ[illegible]მადიანი, ამას წინაზედ ავტომობილზე თავდამსხმელი, რომლებიც გამოტყდენ თავის დანაშაულში.

ხუჯიან.

ს. უშაფათი (სენაკის მაზრა) ეს თემი შესდგება სამას სამოცი მოსახლისაგან. აქ დიდი ხნიდან არსებობს ორი პირველ-დაწყებითი სკოლა. წელს კიდევ გაიხსნა მესამე ასეთი სკოლა ლეკოვაიეში, სადაც მეცადინეობა სწარმოებს დროებით დაქირავებულ სახლში, შენდება საკუთარი შენობა, რომელიც სამოცი მოსახლეს უჯდება ორასი ათასი მანეთი. დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ საქმეში ამხ. მაკ. გაბუნიას, ამხ. კოკაიას,—იდ. ლააკიას და ზოგიერთ სხვებს. უშაფათის მოწინავე ამხანაგების ინიციატორობით, წელს ფოცხო-უშაფათის საზღვარზე დაარსდა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი. მეცადინეობა სწარმოებს დაქირავებულ შენობაში; მოწაფეთა რიცხვი საკმაოა. განზრახულია ახლო მომავალში გაშენდეს საკუთარი შენობა; ჯერ ჯერობით სასწავლებელი ინახება ზემოაღნიშნული თემების ხარჯით, მხოლოდ სამაზრო ერობამ ერთდროული დახმარებათ მისცა ასი ათასი მანეთი (100,000 მან.) უნდა ითქვას, რომ განათლების მხრივ ხსენებული თემი, მიუხედავად ნივთიერ მდგომარეობისა, არ ერიდება შრომას და დიდს გადასახადს. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი ყოველნაირ მთავრობის გამოძახილს ერთსულოვნად ეხმაურება: მობილიზაციები აქ მშვენივრად ტარდება. არ მოიპოვება არც ერთი დეზერტირი, არსებობს აქედან სახალხო გვარდიაში რამოდენიმე ახალგაზრდები; არა აქვს ადგილი ქურდობა-ავაზაკობას და სხვა ასეთებს. ამ მხრივ ენერგიულ ზომებს ღებულობს ნოქალაქევის უბნის მილიციის უფროსი გ. შავდია. სადგილმამულო კომისიამ აქ უკვე დაამთავრა მუშაობა. სათიბი მიწების უმეტესი ნაწილი დამუშავებულია. სიმინდის მოსავალი ძლიერ ნაკლებია; საშემოდგომო თესლეულობას საზოგადოება მოკლებულია; კოოპერატივები არ დგანან აქ სასურველ ნიადაგზე: მათ არა აქვთ საშუალება, რომ მიაწოდონ ორთავ წევრებს აუცილებელი საჭირო საგნები, როგორც არის მატყლი და საშემოდგომო თესლეულობა. ამ მხრივ თემებს ესაჭიროება მთავრობისაგან დახმარება.

ფიჩხუშვილი.

წერილები რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენი პატივცემული გაზეთის ფურცლებზე შემდეგს: ვლადიმერ, ხვთისოანე და ქიშვარდი თავართქილაძეებმა მიყიდეს სამხვითის თემს სადანაცანებში თორმეტ ოთახიანი შენობა აფთიაქის მოწყობილობით, განსვენებულ ფუტინე გიტოს ასული თავართქილაძის ხსოვნის აღსანიშნავად. აღნიშნულმა მოქალაქეებმა დაუთმეს თემს ეს ქონება ღირებულ ფასებზე 50,000 მან. დაკლებით, რაზედაც სამხვითის თემის გამგეობა თემის სახელით უძღვნის მათ უღრმესს მადლობას.

სამხვითის თემის გამგეობის თავმჯდომარე დ. წერეთელი.

რედაქტორი [illegible] ნათაძე.

განცხადებანი

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი
დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღსთან ქვაშვეთის ეკლესიის ახლოს. (4—დეკ.)

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ქლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 და საღამოს 6—8 საათამდე.
11 დეკ

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
ავადმყოფების მიღება ყოველდღე 1 ს.—4 ს. იზმაილოვის ქუჩა № 11 მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (1—დეკ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების
საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
გოკერიასი
(პლეხანოვის პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ, ტელეფ. № 5—97) დასწოლი ავადმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—ნოემ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და [illegible] დუგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს 4 [illegible] [illegible] ქ. № 22. 21 დეკ.)

ექიმი
გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, სპეციალურად მუცლის—კუჭის, ნაწლავების და სხ. ავადმყოფობის მიღება ყოველდღე დილის 10—11 საათ. და საღამოს 5—7 საათ. ტელეფონი № 14—21. ბებუთოვის ქ. № 38. (26 ნოემბ.)

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (21 ნოემ.)

ექიმი
ნიკოლოზ მახვილაძე
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.
ტრამვაი № 1, 2, 5 და 9 (3—დეკ.

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გახსნილ. მიღება: დილის 10 $^{1}/_{2}$—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირადღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (3—დეკ.)

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63.

ექიმი
სოლომონ ისაკისძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (18—ნოემ.)

ექიმი
ჰენრიხ ისაკის ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილ. 12—1 ს საღ. 3—6 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (16—ნოემ.)

ექიმი
ნ. პ. ფალიაშვილი
სახელმწიფო უნივერსიტეტის სასანიტარო ინსტიტუტის ასისტენტი ვაქცინოთერაპია, სეროთერაპია, აუტოვაქცინაცია. ხოლერის, ტიფის, ყვავის საწინააღმდეგო ვაქცინის შეშხაპუნება... ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა, ავჭალის შესახვევი № 10. (22—ნოემ.)

დაბრუნდა და განაახლა მიღება.
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყოფთ ელექტრონით წამლობა. ავადმყოფ. მიღება 5—7 საათ. ანასტასიის ქ. № 13. ტელეფ. 9—31. (21—ნოემ.)

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, [illegible]

ქ. გ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (7 ნოემ.)

ექიმი **ა. დ. პეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნორ“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 15 ნოემ.

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—დეკ.)

ექიმი
დავით ლუკას ძე
კილურაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 120. (15 ნოემ.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914 ვენერიული (ტრიპერი), შარდის ორგანოების ოპერაცია ცისტოსკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5, სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 (ს საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. 5—ნოე)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლავების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46.
7—ნოემ.

ექიმი
ე. ი. პალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავადმყოფობით დილის 8—12 საათამდე; ვენერიული, სიფილისით (შამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. სადამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1—დეკ.)

ექიმი
პ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს: საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი.-კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—7 $^{1}/_{2}$ საათ. მიხეილის საავადმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1 (16-ნოემბ.)

სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი
საბუღალტერო კურსები
თ. მ. ფილოიანისა
ორივე სქესისათვის. (თფილისი, მიხეილის პრ. № 24. ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ქართული განყოფილება. (3581 1—1).

[illegible] სტამბა, ერთობის ქუჩა № 4